საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან | № 65 (867) | ხუთშაბათი, 21 აპრილი, 1994 წელი | ფასი 5000 კუპონი

ედუარდ შევარდნაძე შეხვდა კარდინალ სილვესტრინის

20 აპრილს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე — სახელმწიფოს მეთაური **ედუარდ შევარდნაძე** შეხვდა ვატიკანის აღმოსავლეთის ქვეყნების ეკლესიების კონგრეგაციის უფროსს, მის უწმინდესობას კარდინალ **აკილე სილვესტრინის.**

შეხვედრაზე საუბარი შეეხო ვატიკანის მისიის საქართველოში ვიზიტის კონკრეტულ მიზნებსა და გეგმებს, რაც ჩვენ ქვეყანაში შექმნილი სიტუაციის შესწავლის საფუძველზე ჰუმანური დახმარების პროგრამებისა და პროექტების შემუშავებას, სანიტარიული ცენტრის — მოხუცთათვის ჰოსპიტლის შექმნას, კულტურული კავშირების აღდგენასა და დამყარებას, ზოგადად საქართველოსა და ქრისტიანული სამყაროს ურთიერთობის გაღრმავებას ითვალისწინებს.

— ჩვენი სურვილია, ამ დალოცვილ მიწაზე მშვიდობა იყოს, ამიტომ ყოველმხრივ ვეცდებით მონაწილეობა მივიღოთ საქართველოში მიმდინარე პოზიტიურ პროცესში და ამით მხარდაჭერა დაგიდასტუროთ, — განაცხადა მისმა უწმინდესობამ კარდინალმა აკილე სილვესტრინიმ.

სახელმწიფოს მეთაურმა მადლობა გადაუხადა მაღალ სტუმარს იმ დიდი ყურადღებისა და მზრუნველობისათვის, რომელსაც იტალია და, კერძოდ, ვატიკანი იჩენს საქართველოს მიმართ. — ევროპული სახლი დიდი სახლია, ამიტომ, უფრო ძნელია მოსავლელად, არ შეიძლება ამ სახლის ერთი ნაწილი კომფორტული იყოს, მეორე კი — დანგრეული. — თქვა ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ. — ყოველმა ჩვენგანმა თავის მოვალეობად უნდა მიიჩნიოს და შეძლებისდაგვარად დაეხმაროს ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს ტოტალიტარული სახელმწიფოს ნანგრევებზე თავისუფალი, დემოკრატიული ქვეყნების მშენებლობაში, ჩანასახშივე აღკვეთოს ცხელი წერტილების არსებობა.

შეხვედრის ბოლოს ხაზგასმით აღინიშნა საქართველოსა და ქართველი ხალხის ტოლერანტობა, ისტორიულად ცნობილი რელიგიათა თანაცხოვრების მაგალითზე, რის გამოც საქართველოში არასდროს მომხდარა რელიგიური ხასიათის კონფლიქტები, რაც ასე მნიშვნელოვანია დღევანდელი მსოფლიოსათვის.

იმავე დღეს ვატიკანის დელეგაცია ეწვია სვეტიცხოველს.

20 აპრილს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ მიიღო ვატიკანის აღმოსავლეთის ქვეყნების ეკლესიების კონგრეგაციის უფროსი კარდინალი აკილე სილვესტრინი.

სურათზე: სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე და ვატიკანის აღმოსავლეთის ქვეყნების ეკლესიების კონგრეგაციის უფროსი კარდინალი აკილე სილვესტრინი.

ვ. ვალიშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ედუარდ შევარდნაძემ მიიღო ხუან ანტონიო სამარანჩი

როგორც ცნობილია, 20 აპრილს თბილისში ჩამოვიდა დელეგაცია საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტის ხუან ანტონიო სამარანჩის ხელმძღვანელობით. დელეგაციაში შედიან ევროპის ოლიმპიური კომიტეტის მსოფლიო ასოციაციის პრეზიდენტი მარიო ვასკეს რანია, ევროპის ასოციაციის პრეზიდენტი ჟაკ როგი და სპორტისა და ოლიმპიური იდეალების საერთაშორისო წლის კოორდინატორი ფიქროუ კიდანი.

იმავე დღეს საქართველოს სახელმწიფოს მეთაური ედუარდ შევარდნაძე შეხვდა ბატონ ხუან ანტონიო სამარანჩის და დელეგაციის წევრებს.

— საქართველოს სპორტის პრესტიჟი იმდენად მაღალია მსოფლიოში, რომ ამ მხრივ თქვენ არ საჭიროებთ განსაკუთრებულ დახმარებას. ჩვენი მისია უფრო მოკრძალებულია, ხელი შეგიწყოთ მიღწეულის შენარჩუნებაში, — განაცხადა ბატონმა ხუან ანტონიო სამარანჩიმ და დასძინა, რომ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი მჭიდროდ თანამშრომლობს გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან და მასთან ერთად მაქსიმალურად ცდილობს დაეხმაროს ქვეყნებს, სადაც სპორტის განვითარებას გარკვეული სიძნელეები გაუჩნდა. საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს საქმიანი კონტაქტები აქვს საქართველოს ოლიმპიურ კომიტეტთან. მოეწყო ერთობლივი სემინარები მწვრთნელებისა და სპორტსმენების მომზადებაში, დღეს ბევრ მათგანს საზღვარგარეთ შეუძლია გაიაროს პრაქტიკა. საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება 1996 წლის ატლანტის ოლიმპიურ თამაშებზე მთლიანად იკისროს საქართველოს დელეგაციის მონაწილეობის ფინანსური ხარჯები.

— თქვენი ჩამოსვლა საქართველოში, — აღნიშნა ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ. — დიდი სტიმულია ჩვენი სპორტსმენებისა და მათი გულშემატკივრებისათვის, მთლიანად ქართული სპორტისათვის, რადგან ეს ფაქტი მეტყველებს მსოფლიო ოლიმპიური მოძრაობის მხარდაჭერაზე ჩვენი ქვეყნისადმი. მიუხედავად დიდი სიძნელეებისა, საქართველო ინარჩუნებს უდიდეს ინტელექტუალურ პოტენციალს, რაც ძალავაც ვლინდება მეცნიერებაში, კულტურაში, სპორტში. ამიტომ თქვენი არა მარტო მორალური დახმარება, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს დღეს.

შეხვედრას ესწრებოდნენ საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის თავმჯდომარე ნონა გაფრინდაშვილი, სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე კახი ასათიანი და საქართველოს პარლამენტის სპორტისა და ტურიზმის კომისიის თავმჯდომარე ბექან ხურციძე.

სახელმწიფოს მეთაურის პრესსამდივნო — საქინფორმი.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის
განკარგულება
ქარელის რაიონის გამგეობის თავმჯდომარის შესახებ

დაინიშნოს თეიმურაზ გოჩაშვილი ქარელის რაიონის გამგეობის თავმჯდომარედ.

გათავისუფლდეს ტარიელ ბარბაქაძე ქარელის რაიონის გამგეობის თავმჯდომარის მოვალეობისაგან პირადი განცხადების საფუძველზე.

• • •

თეიმურაზ ნიკოლოზის ძე გოჩაშვილი დაიბადა 1951 წელს ქალაქ ქარელში. 1978 წელს დაამთავრა ქუთაისის პოლიტექნიკური ინსტიტუტი. სხვადასხვა წლებში მუშაობდა ქარელის ელექტრომექანიკურ ტექნიკუმში ლაბორატორიის გამგედ, თბილისის ლუდის ქარხნის ტექნოლოგად, 1985 წლიდან დღემდე — საკონსერვო ქარხნის დირექტორად, ქარელში.

ჰყავს მეუღლე და სამი შვილი.

ხელსაყრელი ეკონომიკური ინტეგრაცია

გადაწყვეტილება
თანამეგობრობის საკოორდინაციო-საკონსულტაციო კომიტეტთან მუდმივმოქმედი ორგანოს — ეკონომიკური კავშირის კომისიის შექმნის შესახებ

სახელმწიფოთაშორისი ეკონომიკური კომიტეტის, როგორც ეკონომიკური კავშირის მუდმივმოქმედი ორგანოს შექმნის იდეის შესასრულებლად, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის მთავრობათა მეთაურების საბჭომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. შეიქმნას დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის საკოორდინაციო-საკონსულტაციო კომიტეტთან მუდმივმოქმედი სამუშაო ორგანო — ეკონომიკური კავშირის კომისია (შემდეგ კომისია). მის ადგილსამყოფელად განისაზღვროს ქალაქი მოსკოვი.

2. კომისიის თავმჯდომარე არის მუდმივ საფუძველზე მომუშავე საკოორდინაციო-საკონსულტაციო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე.

კომისიის აპარატი კომპლექტდება პროფესიული ნიშნით კვოტურ ან საკონკურსო ანგარიშზე.

3. კომისიის ძირითადი ფუნქციებია შეიმუშაოს წინადადებები, ეკონომიკური კავშირის სახელმწიფოთა საერთო ეკონომიკური სივრცის მექანიზმის შექმნის შესახებ შეთანხმებების პროექტები, რეკომენდაციები;

გააანალიზოს ეკონომიკის მდგომარეობა, ეკონომიკურ რეფორმათა მიმდინარეობა და მოამზადოს წინადადებანი შეთანხმებული ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის განხორციელების, სამეურნეო და კანონმდებლობის დაახლოებისათვის;

შეადგინოს ეკონომიკური კავშირის სახელმწიფოთა მრეწველობაში, სოფლის მეურნეობასა და ეკონომიკის სხვა დარგებში წარმოების სპეციალიზაციისა და კოოპერაციის პროგრამები;

განახორციელოს შეთანხმებული ღონისძიებანი საქმიანობის უმნიშვნელოვანეს სახელმწიფოთაშორის სფეროებში: ტრანსპორტი, კავშირგაბმულობა, ენერგომომარაგება, გარემოს დაცვა, საგანგებო სიტუაციათა თავიდან აცილება და შედეგების ლიკვიდაცია;

კოორდინაცია გაუწიოს დარგობრივი თანამშრომლობის სახელმწიფოთაშორისი ორგანოების საქმიანობას, მხარი დაუჭიროს მეწარმეობას და ხელი შეუწყოს საერთო ბაზრის ინფრასტრუქტურების — ტრანსეროვნული გაერთიანებების, საფინანსო-სამრეწველო ჯგუფების, საფინანსო-საკრედიტო და სადაზღვევო სტრუქტურების, ერთობლივი საწარმოების განვითარებას;

განსაზღვროს მეცნიერებისა და ტექნიკის უმნიშვნელოვანეს დარგებში ერთობლივი კვლევის მიმართულებანი, მოამზადოს ეკონომიკური კავშირის სახელმწიფოთა სამეცნიერო პოტენციალის გაერთიანებისა და ინტელექტუალური საკუთრების დაცვის წინადადებანი.

4. დაევალოს თანამეგობრობის საკოორდინაციო-საკონსულტაციო კომიტეტს მოამზადოს კომისიის დამფუძნებელი დოკუმენტების პროექტები (შეთანხმება და დებულება) და ისინი განსახილველად წარუდგინოს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის მთავრობათა მეთაურების საბჭოს მორიგ სხდომას.

ხელმოწერილია ქალაქ მოსკოვში 1994 წლის 15 აპრილს ერთ ნამდვილ ეგზემპლარად რუსულ ენაზე. ნამდვილი ეგზემპლარი ინახება ბელარუსის რესპუბლიკის მთავრობის არქივში, რომელიც დაუგზავნის ამ გადაწყვეტილების ხელმომწერ სახელმწიფოებს დამოწმებულ პირს.

გადაწყვეტილება
თანამეგობრობის საკოორდინაციო-საკონსულტაციო კომიტეტთან მუდმივმოქმედი ორგანოს — ეკონომიკური კავშირის კომისიის შექმნის მოწონების შესახებ

დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სახელმწიფოების მეთაურთა საბჭომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

მოიწონოს თანამეგობრობის მთავრობათა მეთაურების საბჭოს გადაწყვეტილება თანამეგობრობის საკოორდინაციო-საკონსულტაციო კომიტეტთან მუდმივმოქმედი ორგანოს — ეკონომიკური კავშირის კომისიის შექმნის შესახებ.

ხელმოწერილია ქალაქ მოსკოვში 1994 წლის 15 აპრილს ერთ ნამდვილ ეგზემპლარად რუსულ ენაზე. ნამდვილი ეგზემპლარი ინახება ბელარუსის რესპუბლიკის მთავრობის არქივში, რომელიც ამ გადაწყვეტილების ხელმომწერ სახელმწიფოებს დაუგზავნის მის დამოწმებულ პირს.

თანამეგობრობა: დოკუმენტები

პერსპექტივა კარგი და საინტერესოა. მთავარია, რამდენად ინიციატივიანად და გაბედულად ვიმოქმედებთ ამ ეტაპზე

შეთანხმება
თავისუფალი ვაჭრობის ზონის შექმნის შესახებ

ამ შეთანხმების მონაწილე სახელმწიფოები, შემდგომში ხელშემკვრელ მხარეებად წოდებულნი,

ადასტურებენ რა თავიანთ ერთგულებას ურთიერთეკონომიკური თანამშრომლობის თავისუფალი განვითარებისადმი,

ნერგავენ პრაქტიკაში საბაზრო ეკონომიკის პრინციპებს, მოქმედებენ 1993 წლის 24 სექტემბერს ქალაქ მოსკოვში ეკონომიკური კავშირის შექმნის შესახებ დადებული ხელშეკრულების დებულებათა თანამიმდევრული რეალიზაციის მიმართულებით,

ქმნიან საქონლისა და მომსახურების თავისუფალი წინსვლის პირობებს,

უზრუნველყოფენ ურთიერთვაჭრობის შეწონასწორებასა და მონაწილე სახელმწიფოთა საშინაო ეკონომიკური მდგომარეობის სტაბილიზაციას,

ხელს უწყობენ მონაწილე სახელმწიფოთა ეკონომიკური პოტენციალის ზრდას ხელსაყრელ კოოპერაციულ ურთიერთობათა და თანამშრომლობის განვითარების საფუძველზე,

ხელმძღვანელობენ მისწრაფებით თავიანთ სახელმწიფოთა მოსახლეობის ცხოვრების დონის მუდმივი ამაღლებით,

ხელმძღვანელობენ ეკონომიკური კავშირის ეტაპობრივი შექმნით,

შედიან თავისუფალი ვაჭრობის ზონის შექმნის შეთანხმებაში, რომელსაც შემდგომში შეთანხმება ეწოდება, მორიგდნენ შემდეგზე:

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. ხელშემკვრელი მხარეები ამ შეთანხმების მიზნების მისაღწევად უზრუნველყოფენ ურთიერთმოქმედებას ეკონომიკური კავშირის შექმნის პირველი ეტაპის კონკრეტულ ამოცანათა გადაწყვეტაში, რომელთა მიზანია:

თანდათანობით გაუქმდეს საბაჟო ბაჟები, გადასახადები და შესაკრებლები, რომლებსაც ეკვივალენტური მოქმედება აქვთ, და რაოდენობრივი შეზღუდვები ურთიერთვაჭრობაში;

აღმოიფხვრას საქონლისა და მომსახურების თავისუფალი წინსვლის სხვა დაბრკოლებანი;

შეიქმნას და განვითარდეს სავაჭრო და სხვა ოპერაციების მიხედვით ურთიერთანგარიშსწორებისა და გადასახდელების ეფექტიანი სისტემა;

კოორდინაცია გაეწიოს სავაჭრო პოლიტიკას იმ ქვეყნების ურთიერთობაში, რომლებიც არ არიან ამ შეთანხმების მონაწილენი;

კოორდინაცია გაეწიოს ეკონომიკურ პოლიტიკას იმ დონით, რომელიც საჭიროა შეთანხმების მიზნების მიღწევისათვის (მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტის, ფინანსების, ინვესტიციების, სოციალური სფეროს, კეთილსინდისიერი კონკურენციის განვითარების ფარგლებში და სხვ.);

ხელი შეეწყოს დარგთაშორის და შინადარგობრივ კოოპერაციასა და სამეცნიერო-ტექნიკურ თანამშრომლობას;

ხელშემკვრელ მხარეთა კანონმდებლობის ჰარმონიზაციას ან უნიფიკაციას იმ დონით, რომელიც საჭიროა თავისუფალი ვაჭრობის ზონის სათანადო და ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის.

2. შეთანხმების ტერიტორია მოიცავს ხელშემკვრელ მხარეთა საბაჟო ტერიტორიებს.

3. თუ ტერმინთა მნიშვნელობა სპეციალურად განსაზღვრული არ არის შეთანხმებაში ან ხელშემკვრელ მხარეთა სხვა მორიგებით, მათი განმარტების დროს ხელშემკვრელი მხარეები იხელმძღვანელებენ ვენის საერთაშორისო ხელშეკრულებათა უფლების შესახებ 1969 წლის კონვენციის დებულებებით.

უთანხმოებანი შეთანხმების ან მისი ცალკეული ტერმინების განმარტებასთან დაკავშირებით გადაწყდება ამ შეთანხმებასთან დაკავშირებით დავის მოწესრიგებისათვის მიღებული პროცედურის წესით.

4. ხელშემკვრელი მხარეები თავს შეიკავებენ მოქმედებისაგან, რომელიც ეწინააღმდეგება ამ შეთანხმების დებულებებსა და აბრკოლებს ამ მიზნების მიღწევას. ეს დებულება ეხება, კერძოდ, სხვა რეგიონულ ეკონომიკურ დაჯგუფებებში ხელშემკვრელ მხარეთა მონაწილეობის პირობებს, აგრეთვე შეთანხმების ფარგლებში ურთიერთობის მოწესრიგებასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.

მუხლი 2. რეჟიმი იმ სახელმწიფოთა მიმართ, რომლებიც არ არიან ამ შეთანხმების მონაწილენი

ხელშემკვრელი მხარეები იტოვებენ უფლებას დამოუკიდებლად განსაზღვრონ იმ სახელმწიფოებთან საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობის რეჟიმი, რომლებიც ამ შეთანხმებაში არ მონაწილეობენ.

მუხლი 3. საბაჟო ბაჟები, გადასახადები და მოსაკრებლები, რომლებსაც ეკვივალენტური მოქმედება აქვთ, და რაოდენობრივი შეზღუდვები

1. ხელშემკვრელი მხარეები არ გამოიყენებენ საბაჟო ბაჟებს, გადასახადებსა და მოსაკრებლებს, რომლებსაც აქვთ ეკვივალენტური მოქმედება, აგრეთვე შეზღუდულ რაოდენობანი ერთ-ერთი ხელშემკვრელი მხარის საბაჟო ტერიტორიიდან საქონლის გატანასა ან შემოტანაზე და განკუთვნილია სხვა ხელშემკვრელ მხარეთა საბაჟო ტერიტორიისათვის. ამ სავაჭრო რეჟიმიდან გამონაკლისები ფორმდება დოკუმენტებით, რომლებიც ამ შეთანხმების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად ხელშემკვრელი მხარეები ამ შეთანხმების ამოქმედების თარიღიდან ექვსი თვის განმავლობაში შეიმუშავებენ და შეათანხმებენ თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმიდან ამოხაღები საგნების საერთო ნუსხას, აგრეთვე თავისუფალი ვაჭრობის ზონის შექმნამდე გარდამავალ პერიოდში ასეთი ამოღების გამოყენების ან ეტაპობრივი გაუქმების მეთოდებს.

3. ხელშემკვრელ მხარეთა შორის ურთიერთობაში ამოღების საერთო ნუსხის შეთანხმებამდე გამოყენებული იქნება მოქმედი ორმხრივი შეთანხმებანი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ და ოქმები ამ რეჟიმიდან ამოღების თაობაზე, თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული ორმხრივი შეთანხმებებით.

4. საქონლის წარმოშობის ქვეყანა განისაზღვრება საქონლის წარმომშობი ქვეყნის განსაზღვრის წესების შესაბამისად, რაც ამ შეთანხმების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს (დანართი 1).

მუხლი 4. ტექნიკური და სხვა სპეციალური მოთხოვნები (შეზღუდვები)

1. ხელშემკვრელი მხარეები ურთიერთვაჭრობაში ტექნიკური ბარიერებისა და ანალოგიური ხასიათის სხვა შეზღუდვების ლიკვიდაციის მიზნით ცდილობენ მოახდინონ ტექნიკურ და სხვა სპეციალურ მოთხოვნათა ჰარმონიზაცია და შეათანხმონ თავიანთი პოლიტიკა ამ დარგში.

2. ხელშემკვრელი მხარეები თავიანთ კომპეტენტურ ორგანოებს დაავალებენ მოამზადონ შესაბამისი წინადადებანი მრავალმხრივ ან ორმხრივ საფუძველზე ამ მუხლის პირველი პუნქტის დებულებათა რეალიზაციისათვის.

მუხლი 5. საქონლის შეტანა-გატანასთან დაკავშირებული შესაკრებლები და ფორმალობანი

1. ურთიერთვაჭრობაში საქონლის შეტანა-გატანასთან დაკავშირებით ხელშემკვრელ მხარეთა მიერ დადგენილი ყველა შესაკრებელი და გადასახდელი (საბაჟო ბაჟის, გადასახადებისა და მათთან გათანაბრებული შესაკრებლების გარდა) არ უნდა აღემატებოდეს პირდაპირ ფაქტობრივ დანახარჯებს გონივრულ ფარგლებში.

2. ხელშემკვრელი მხარეები ერთმანეთს აცნობებენ რა სახეობის შესაკრებლები და გადასახდელები აქვთ შემოღებული, და ცდილობენ შეათანხმონ მათი რიცხვისა და ოდენობის შემცირება.

3. ხელშემკვრელი მხარეები ცდილობენ ადმინისტრაციულ ფორმალობათა გამარტივებასა და უნიფიკაციას.

4. ამ მუხლის დებულებანი ვრცელდება, კერძოდ, შესაკრებლებსა და ფორმალობებზე, რომლებიც განეკუთვნება:

რაოდენობრივ შეზღუდვებს;
ლიცენზირებას;
სავალუტო კონტროლს;
სტატისტიკურ აღრიცხვას;
დოკუმენტებს, დოკუმენტაციასა და დოკუმენტების დამოწმებას;
ანალიზებსა და შემოწმებას;
კარანტინს, სანიტარიულ სამსახურს, ფუმიგაციასა და სხვ.

მუხლი 6. საბაჟო პროცედურათა უნიფიკაცია ან ჰარმონიზაცია

1. ხელშემკვრელი მხარეები ყოველ ღონეს იხმარენ საბაჟო ფორმალობათა მაქსიმალური გამარტივებისა და უნიფიკაციისათვის, კერძოდ, საბაჟო და საქონლის თანმხლები დოკუმენტაციის ერთიანი ფორმების შემოღების გზით, ამასთან ორიენტირს აიღებენ მოქმედ საერთაშორისო შეთანხმებებსა და მორიგებებზე.

2. ხელშემკვრელი მხარეები თავიანთ კომპეტენტურ ორგანოებს დაავალებენ მოამზადონ წინადადებანი, რომლებიც ეხება საბაჟო პროცედურების ჰარმონიზაციასა და საბაჟო დოკუმენტებისა და საბაჟო უზრუნველყოფის ურთიერთაღიარებას.

მუხლი 7. სასაქონლო ნომენკლატურები

1. სატარიფო და არასატარიფო რეგულირების, სტატისტიკური აღრიცხვისა და სტატისტიკური ინფორმაციის გაცვლის, აგრეთვე საბაჟო კონტროლისა და გაფორმებისათვის ხელშემკვრელი მხარეები გამოიყენებენ საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურებს, რომლებიც დაფუძნებულია საქონლის აღწერისა და კოდირების ჰარმონიზებულ სისტემაზე. ამასთან, საკუთარი საჭიროებებისათვის ხელშემკვრელი მხარეები აუცილებლობის შემთხვევაში ახორციელებენ ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურების შემდგომ განვითარებას.

2. საქონლის აღწერისა და კოდირების ჰარმონიზებული სისტემის საეტალონო ეგზემპლარის შემოღებას ახორციელებს რუსეთის ფედერაცია არსებული წარმომადგენლობის მეშვეობით შესაბამის საერთაშორისო ორგანიზაციებში, სანამ სხვა ხელშემკვრელი მხარეები არ განაცხადებენ, რომ დამოუკიდებლად შემოიღებს საეტალონო ეგზემპლარი.

მუხლი 8. შინაგანი გადასახადები და ფისკალური ხასიათის სხვა შესაკრებლები

1. ხელშემკვრელი მხარეები პირდაპირ ან არაპირდაპირ არ დაბეგრავენ სხვა ხელშემკვრელ მხარეთა საბაჟო ტერიტორიიდან მომდინარე საქონელს გადასახადებითა და ფისკალური ხასიათის შესაკრებლებით იმ ოდენობით, რომელიც აღემატება მათ დონეს ეროვნული საქონლისათვის.

2. ხელშემკვრელი მხარეები ერთმანეთს მიაწვდიან სრულ ინფორმაციას ყველა მოქმედი გადასახადისა და ფისკალური ხასიათის სხვა შესაკრებლების შესახებ.

მუხლი 9. სუბსიდიები

ხელშემკვრელი მხარეები შეთანხმდნენ, არ მისცენ საექსპორტო და სხვა სუბსიდიები მათ ტერიტორიაზე მდებარე საწარმოებს, თუ ასეთ სუბსიდიათა მიცემის შედეგად ირღვევა კეთილსინდისიერი კონკურენციის პირობები.

მუხლი 10. ტრანზიტი

1. ხელშემკვრელი მხარეები თანახმანი არიან, რომ ტრანზიტის თავისუფლების პრინციპის დაცვა უმნიშვნელოვანესი პირობაა ამ შეთანხმების მიზნების მიღწევისა და შრომის საერთაშორისო დანაწილებისა და კოოპერირების სისტემაში მათი ჩართვის პროცესის არსებითი ელემენტია.

2. სატრანზიტო ტვირთზიდვა დაუსაბუთებლად არ უნდა ფერხდებოდეს ან იზღუდებოდეს.

3. ტრანზიტის პირობები, მათ შორის ნებისმიერი სახეობის ტრანსპორტით გადაზიდვისა და მომსახურების გაწევის ტარიფები არ უნდა იყოს იმ პირობებზე უარესი, რომლებსაც უზრუნველყოფენ ხელშემკვრელი მხარეები ტვირთების საკუთარი გამგზავნებისა და მიმღებების, მათი კუთვნილი საქონლის, აგრეთვე ამ ხელშემკვრელი მხარის გადამტანებისა და სატრანსპორტო საშუალებებისათვის ან ეძლევათ საქონლის მეპატრონე ტვირთების გამგზავნელებსა და მიმღებებს, ნებისმიერი სხვა უცხოური სახელმწიფოს გადამტანებსა და სატრანსპორტო საშუალებებს, თუ სხვა რამ გათვალისწინებული არ არის ორმხრივი შეთანხმებებით.

მუხლი 11. რეექსპორტი

1. ყოველი ხელშემკვრელი მხარე არ დაუშვებს საქონლის არასანქციონირებულ რეექსპორტს, რომლის ექსპორტის მიმართ სხვა ხელშემკვრელი მხარეები, რომელთა ტერიტორიიდან მომდინარეობს ეს საქონელი, იყენებენ სატარიფო ან არასატარიფო რეგულირებას.

2. ხელშემკვრელი მხარეები ხელს არ შეუშლიან მოსაქმე ობიექტებს შეიტანონ კონტრაქტებში დებულებანი, რომლებიც საქონლის რეექსპორტს ეხება.

3. საქონლის რეექსპორტთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდება საქონლის რეექსპორტის შესახებ შეთანხმების შესაბამისად და რეექსპორტზე ნებართვის გაცემის წესით (დანართი 2), რომელიც ამ შეთანხმების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.

მუხლი 12. საწარმოო კოოპერაცია და სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობა

ხელშემკვრელი მხარეები ხელს შეუწყობენ საწარმოო კოოპერაციისა და სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის განვითარებას საერთაშორისო (დარგთაშორის, რეგიონულ) დონეზე და მოსაქმე სუბიექტების დონეზე, მათ შორის სახელმწიფო მხარდაჭერის სხვადასხვა ფორმების მიღების გზით.

მუხლი 13. გამონაკლისები

1. ზოგადი გამონაკლისები

ეს შეთანხმება ხელს არ უშლის ნებისმიერ ხელშემკვრელ მხარეს განახორციელოს საერთაშორისო პრაქტიკაში საყოველთაოდ აღიარებული სახელმწიფო რეგულირების ზომები საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობის დარგში, რომელიც მას საჭიროდ მიაჩნია თავისი საარსებო ინტერესების დაცვისათვის ან, რომელიც უთუოდ საჭიროა საერთაშორისო ხელშეკრულებათა შესრულებისათვის, რომელთა მონაწილეა ან აპირებს გახდეს მისი მონაწილე, თუ ეს ზომები ეხება:

საზოგადოებრივი მორალისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;

ადამიანთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვას;

ცხოველთა და მცენარეთა დაცვას;

გარემოს დაცვას;

მხატვრული, არქეოლოგიური და ისტორიული ღირებულებების დაცვას, რომლებიც ეროვნულ კუთვნილებას შეადგენენ;

სამრეწველო და ინტელექტუალური საკუთრების დაცვას;

ოქროს, ვერცხლის ან სხვა ძვირფასი ლითონებისა და ქვების ვაჭრობას;

აუნაზღაურებელი ბუნებრივი რესურსების დაცვას;

პროდუქციის ექსპორტის შეზღუდვას, როცა ამ პროდუქციის საშინაო ფასი მსოფლიო ფასზე დაბალია მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამების განხორციელების შედეგად;

საგადამხდელო ბალანსის დარღვევებს.

2. გამონაკლისებს უსაფრთხოების მოსაზრებებით.

ამ შეთანხმებაში არაფერი არ აბრკოლებს ნებისმიერი ხელშემკვრელი მხარის უფლებას გამოიყენოს სახელმწიფო რეგულირების ყოველგვარი ღონისძიებანი, რომლებიც მას საჭიროდ მიაჩნია, თუ ეს ღონისძიებანი ეხება:

ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფას, მათ შორის სახელმწიფო საიდუმლოებას მიკუთვნებული კონფიდენციალური ინფორმაციის გადინების აღკვეთას;

იარაღის, სამხედრო ტექნიკის, ტყვია-წამლის ვაჭრობას, სამხედრო ხასიათის მომსახურების გაწევას, ტექნოლოგიების გადაცე-

(დასასრული მე-2 გვ.)

ჩვენი გაზეთის საპარლამენტო კორესპონდენტი, ჟურნალისტთა საერთაშორისო ფედერაციის წევრი რუსუდან ლორთქიფანიძე რედაქციის დავალებით ესაუბრა სახელმწიფოს მეთაურს **ედუარდ შევარდნაძეს.**

ამ საუბარს სათაურით — „ხვედრი — საქართველო და მისი მეთაური ისტორიის გზაჯვარედინზე" გაეცნობით დღევანდელი ნომრის მესამე გვერდზე.

მერვე სვეტი

ტერორისტული აქტი თბილისში

20 აპრილს დილით, დაახლოებით 9 საათსა და 15 წუთზე, ნუცუბიძის პლატოს მეოთხე მიკრორაიონში, თავისი სახლის მახლობლად, მხეცურად მოკლეს საქართველოს სატრანსპორტო პოლიციის მთავარი სამმართველოს უფროსი, რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე, პოლიციის გენერალ-მაიორი გია გულუა. იგი თავისი სასამსახურო ავტომანქანით სამუშაოზე მიდიოდა. დაიღუპნენ აგრეთვე მძღოლი და ავტომანქანაში მჯდომი სატრანსპორტო პოლიციის თანამშრომელი.

თვითმხილველებმა — ახლომდებარე სახლების მცხოვრებლებმა თქვეს, რომ ტერორისტები ორი ავტომანქანიდან ორი-სამი წუთის განმავლობაში ისროდნენ. მკვლელები მიიმალნენ. სამართალდამცავი ორგანოები იძიებენ მომხდარ ფაქტს.

უნდა აღინიშნოს, რომ ტერორისტული აქტი მოხდა საბავშვო ბაღისა და საშუალო სკოლის ტერიტორიის უშუალო სიახლოვეს. ბედნიერი შემთხვევის წყალობით ბავშვთა და მოსწავლეთა შორის დაშავებულები არ არიან.

ვიზიტად გერმანიაში

გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ფედერალური მთავრობის მოწვევით, ოფიციალურ სამუშაო ვიზიტად იმყოფება საქართველოს მოქალაქეთა კავშირის გენერალური მდივანი ზურაბ ჟვანია. ტარდება ინტენსიური საქმიანი შეხვედრები.

19 აპრილს ზურაბ ჟვანია შეხვდა გფრ-ს პარლამენტის ვიცე-პრეზიდენტს ბატონ გონერბენგს.

საქართველოს მოქალაქეთა კავშირის პრესსამსახური.

შეხვედრა ეროვნულ ორგანიზაციათა ლიდერებთან

20 აპრილს საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტში კომიტეტის წარმომადგენლები შეხვდნენ ეროვნულ საზოგადოებრივ ორგანიზაციათა ლიდერებს. ამ უკანასკნელებმა წინადადება წამოაყენეს კომიტეტთან შეიქმნას საკონსულტაციო საბჭო, რომელიც იქნება დამაკავშირებელი რგოლი რესპუბლიკის ხელმძღვანელობასა და ყველა ეროვნული ფენის წარმომადგენლებს შორის. საბჭოს მიზანია აქტიურად ჩაერთოს ქვეყნის ეროვნულ უმცირესობათა პრობლემების გადაჭრაში, უფრო სრულად აამოქმედოს მათი პოტენციალი.

ვითარება წალენჯიხაში

წალენჯიხაში საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარება თანდათან კალაპოტში დგება. მუშაობს საარსებო მნიშვნელობის ყველა ობიექტი. აქტიურად მიმდინარეობს იარაღის ჩაბარების პროცესი. წალენჯიხელები ერთიანი ძალისხმევით ემზადებიან რესპუბლიკის პარლამენტის არჩევნებისათვის, რომელიც აქ მიმდინარე წლის 12 ივნისისთვის არის დანიშნული. აპრილის შუა რიცხვებში რაიონში შემოიტანეს 42 ტონა დიზელის საწვავი, დამატებით კიდევ 20 ტონა დიზელის საწვავსა და 15 ტონა ბენზინს შემოიტანენ. მიმდინარე წლის პირველ კვარტალში მიღებულია დიდი რაოდენობით ჰუმანური დახმარება, რომელიც თანაბრად გაუნაწილდებათ წალენჯიხაში განსახლებულ იძულებულ ადგილნაცვალ ოჯახებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეთანხმება

თავისუფალი ვაჭრობის ზონის შექმნის შესახებ

(დასასრული)

[illegible] და მომსახურების გაწევას იარაღისა და სამხედრო ტექნიკის წარმოებისათვის და სხვა სამხედრო მიზნებით;

ხლეჩადი მასალებისა და რადიოაქტიურ ნივთიერებათა წყაროების მიწოდებას, რადიოაქტიური ნარჩენების უტილიზაციას;

ომის დროს ან საერთაშორისო ურთიერთობაში სხვა საგანგებო გარემოებებში გამოყენებულ ღონისძიებებს;

საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების დაცვისათვის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების საფუძველზე ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის გამიზნულ მოქმედებას.

მუხლი 14. სახელმწიფო რეგულირების ღონისძიებათა შემოღების წესი

1. ხელშემკვრელი მხარეები დროულად აცნობებენ სხვა ხელშემკვრელ მხარეებს სახელმწიფო რეგულირების ზომების შემოღების და ამოქმედების მიზეზების, ხასიათისა და სავარაუდო ვადების შესახებ.

2. ხელშემკვრელი მხარეები ახორციელებენ წინასწარ კონსულტაციებს და ამუშავებენ რეკომენდაციებს. თუ შეუძლებელია შეთანხმებული გადაწყვეტილების მიღება, ექვსი თვის ვადაში ხელშემკვრელ მხარეს ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნულის თანახმად უფლება აქვს თავისი შეხედულებისამებრ შემოიღოს სახელმწიფო რეგულირების ზომები.

3. განსაკუთრებულ შემთხვევებში, რომელიც გადადებას არ ექვემდებარება, ხელშემკვრელ მხარეს უფლება აქვს შემოიღოს სახელმწიფო რეგულირების ზომები საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის დარგში და იმავდროულად აცნობოს ეს და დაუყოვნებლივ განახორციელოს შემდგომი კონსულტაციები სხვა ხელშემკვრელ მხარეებთან.

მუხლი 15. თანამშრომლობა საექსპორტო კონტროლის დარგში

ხელშემკვრელი მხარეები ითანამშრომლებენ და განახორციელებენ შეთანხმებულ მოქმედებას საექსპორტო კონტროლის საკითხებში.

მუხლი 16. საქონლის მიმართ შეთანხმების მოქმედების სფერო

თავისუფალი ვაჭრობის ზონის რეჟიმი ვრცელდება ხელშემკვრელ მხარეთა საბაჟო ტერიტორიიდან მომდინარე და ხელშემკვრელ მხარეთა საბაჟო ტერიტორიისათვის განკუთვნილ საქონელზე.

მუხლი 17. მომსახურება

1. ხელშემკვრელი მხარეები ნაცვალგების საფუძველზე ეცდებიან თანდათანობით გააუქმონ შეზღუდვები შეთანხმების ტერიტორიის ფარგლებში მომსახურების თავისუფალი გაწევისათვის პირობების შექმნის მიზნით.

2. ხელშემკვრელი მხარეები განსაზღვრავენ მომსახურების სახეობებს, რომლებზეც ვრცელდება ამ მუხლის მოქმედება, და გამოჰყოფენ პრიორიტეტული სახეობის მომსახურებას საქონელბრუნვის უშუალო მომსახურების დარგში, რომელთა მიმართ იმპორტისა და ექსპორტის ლიბერალიზაციის საკითხები უპირველესი წესით უნდა გადაწყდეს.

3. ხელშემკვრელი მხარეები იკვლევენ უფლებას შეათანხმონ როგორც მრავალმხრივ, ისე ორმხრივ საფუძველზე მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული საკითხები.

მუხლი 18. ინფორმაციის გაცვლა საგარეო-ეკონომიკური კავშირურთიერთობის სამართლებრივი რეგულირების შესახებ

ხელშემკვრელი მხარეები შეთანხმებული წესით აწვდიან ერთმანეთს ინფორმაციას საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობის საშინაო სამართლებრივი რეგულირების შესახებ.

მუხლი 19. დავის გადაჭრის წესი

1. ნებისმიერი დავა და უთანხმოება ხელშემკვრელ მხარეთა შორის ამ შეთანხმების დებულებათა განმარტებისა თუ გამოყენების შესახებ, აგრეთვე სხვა დავა, რომლებიც ეხება ხელშემკვრელ მხარეთა უფლება-მოვალეობებს ამ ხელშეკრულების გამო ანდა მასთან დაკავშირებულ გარემოებათა გამო, უნდა გადაწყდეს შემდეგი წესით:

დაინტერესებულ ხელშემკვრელ მხარეთა უშუალო კონსულტაციების გზით ან ურთიერთშეთანხმებით, სხვა ხელშემკვრელ მხარეთა წარმომადგენლების მონაწილეობით;

სპეციალური შემთანხმებელი პროცედურის ფარგლებში (დავის მასალების შესწავლისა და რეკომენდაციათა შემუშავებისათვის სამუშაო ჯგუფების შექმნის გზით);

დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ეკონომიკურ სასამართლოში;

სხვა პროცედურების ფარგლებში, რომლებიც საერთაშორისო უფლებით არის გათვალისწინებული.

2. შემდგომ პროცედურაზე გადასვლა შესაძლებელია ხელშემკვრელ მხარეთა ურთიერთთანხმობით, რომელთა შორის წარმოიშვა სადავო საკითხები ან უთანხმოება, ანდა ერთ-ერთი მათგანის მოთხოვნით, თუ თანხმობას ვერ მიაღწიეს პროცედურის დაწყებიდან ექვსი თვის განმავლობაში.

მუხლი 20. ხელშემკვრელ მხარეთა სხვა ვალდებულებებთან და უფლებებთან ამ შეთანხმების შესაბამისობა

1. ამ შეთანხმებაში არაფერი არ უნდა იყოს ისეთი, რომელიც ნებისმიერ ხელშემკვრელ მხარეს ხელს შეუშლის შეასრულოს ნაკისრი ვალდებულებანი რომელიმე სხვა საერთაშორისო შეთანხმების შესაბამისად, რომლის მონაწილეც არის ეს ხელშემკვრელი მხარე ან შეიძლება იყოს იმ პირობით, თუ ეს ვალდებულებანი არ ეწინააღმდეგება ამ შეთანხმების დებულებებსა და მიზნებს.

2. ამ შეთანხმების დებულებანი არ ეხება უფლებებსა და უპირატესობებს, რომლებიც ენიჭებათ რეგიონული თანამშრომლობის, სასაზღვრო და სანაპირო ვაჭრობის, პრეფერენციების, თავისუფალი ეკონომიკური და საბაჟო ზონების ფარგლებში, რომლებიც რეგულირდება შინაგანი კანონმდებლობით ან საერთაშორისო შეთანხმებათა საფუძველზე.

3. ხელშემკვრელი მხარე, რომელიც აპირებს დადოს პრეფერენციული, სავაჭრო და ინტეგრაციული შეთანხმებანი სახელმწიფოებთან, ამ შეთანხმების მონაწილენი რომ არ არიან, დროულად ატყობინებს ამას სხვა ხელშემკვრელ მხარეებს და იმასაც აცნობებს, თუ რა პირობებით მიიღებს მონაწილეობას აღნიშნულ შეთანხმებებში.

ამ პუნქტის მიზნებისათვის ხელშემკვრელ მხარეებად ითვლებიან ამ შეთანხმების ხელმომწერი ხელშემკვრელი მხარეები და სახელმწიფოები, რომლებიც მას შეუერთდნენ.

მუხლი 21. საბაჟო კავშირზე გადასვლა

თავისუფალი ვაჭრობის ზონა ითვლება როგორც საბაჟო კავშირის ფორმირების გარდამავალი ეტაპი.

საბაჟო კავშირი შეიძლება შექმნან სახელმწიფოებმა, რომლებიც გამოთქვამენ სურვილს განაგრძონ თანამშრომლობა მის ფარგლებში და, რომლებიც შეასრულებენ ამ შეთანხმების პირობებს.

მუხლი 22. ცვლილებები და დამატებები

1. ამ შეთანხმებაში შეიძლება შეტანილი იქნეს ცვლილებები და დამატებები ხელშემკვრელ მხარეთა ურთიერთთანხმობით.

2. შენიშვნები ამ შეთანხმებისადმი არ დაიშვება.

მუხლი 23. ძალაში შესვლა

1. ეს შეთანხმება დროებით არის გამოყენებული ხელმოწერის დღიდან და ძალაში შედის ხელმომწერ ხელშემკვრელ მხარეთა მიერ ყველა საჭირო შიდა სახელმწიფო პროცედურის შესრულების შესახებ მესამე შეტყობინების დეპოზიტარისათვის შესანახად გადაცემის თარიღიდან.

2. ამ შეთანხმების დეპოზიტარია ბელარუსის რესპუბლიკა.

3. ამ შეთანხმების ხელმოწერის თარიღიდან ერთი წლის გასვლის შემდეგ ხელშემკვრელმა მხარეებმა, რომლებისთვისაც შეთანხმება ძალაში შევიდა, შეიძლება მიიღონ გადაწყვეტილება ხელშემკვრელ მხარეთა შეთანხმებაში მონაწილეობის შესახებ, რომლებისთვისაც შეთანხმება დროებით არის გამოყენებული.

მუხლი 24. შეერთება

1. ეს შეთანხმება ღიაა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის მონაწილე ნებისმიერი სახელმწიფოს შეერთებისათვის, რომელიც აღიარებს შეერთების მომენტისათვის მოქმედ შეთანხმების დებულებებს და გამოთქვამს მზადყოფნას შეასრულოს ისინი სრული მოცულობით.

2. შეერთება ხორციელდება პირობებითა და წესით, რომლებიც განსაზღვრულია შეერთებულ სახელმწიფოსთან ცალკე შეთანხმებით, რომელიც წინასწარ უნდა შეთანხმდეს და უნდა მოიწონოს ყველა ხელშემკვრელმა მხარემ მათი შიდასახელმწიფოებრივი პროცედურების შესაბამისად.

მუხლი 25. შეთანხმებაში მონაწილეობის შეწყვეტა

1. ნებისმიერმა ხელშემკვრელმა მხარემ შეუძლია შეწყვიტოს თავისი მონაწილეობა შეთანხმებაში იმ გზით, რომ ოფიციალურად უნდა გაუგზავნოს წერილობითი შეტყობინება სხვა ხელშემკვრელ მხარეებს შეთანხმებიდან გამოსვლის განზრახვის შესახებ გამოსვლამდე 6 თვით ადრე.

2. თუ ნებისმიერი ხელშემკვრელი მხარე დაარღვევს ამ შეთანხმების დებულებებს, რაც სერიოზულ ზიანს აყენებს მისი მიზნების მიღწევას, სხვა ხელშემკვრელ მხარეებს უფლება აქვთ მიიღონ გადაწყვეტილება შეთანხმების ან მისი ცალკეული დებულებების მოქმედების შეჩერების შესახებ ამ ხელშემკვრელი მხარის მიმართ, ან მიიღონ გადაწყვეტილება შეთანხმების მონაწილეთა რიცხვიდან მისი გარიცხვის თაობაზე.

3. შესაძლო დავისა და პრეტენზიების, მათ შორის მატერიალური ხასიათის პრეტენზიების გადაწყვეტის მიზნით ამ შეთანხმების დებულებანი განაგრძობენ მოქმედებას იმ ხელშემკვრელი მხარის მიმართ, რომელმაც შეწყვიტა მონაწილეობა, სანამ მთლიანად არ მოწესრიგდება ყველა მოთხოვნა.

ხელმოწერილია ქალაქ მოსკოვში 1994 წლის 15 აპრილს ერთ ნამდვილ ეგზემპლარად რუსულ ენაზე. ნამდვილი ეგზემპლარი ინახება ბელარუსის რესპუბლიკის მთავრობის არქივში, რომელიც ამ შეთანხმების ხელმომწერ ხელშემკვრელ მხარეებს გაუგზავნის მის დამოწმებულ პირს.

ქართველ-აფხაზთა მოლაპარაკება ჟენევაში

ყურადღების ცენტრშია აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსი

ჟენევა. (იტარ-ტასი-„საქინფორმი"). ქართველთა და აფხაზთა კონფლიქტის პოლიტიკური მოწესრიგება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეგიდითა და რუსეთის ხელშეწყობით ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის მონაწილეობით გამართული მოლაპარაკების მთავარი საკითხია. 4 აპრილს მხარეთა მიერ ხელმოწერილი მოსკოვის განცხადების შესაბამისად. პირველ სხდომაზე შეიკრიბა მუდმივი კომიტეტი, რომელიც ხელს მოჰკიდებს აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსის პრობლემას და სახელმწიფო-სამართლებრივი ურთიერთობის აღდგენის წინადადებათა შემუშავებას. დილით გაიმართა ხანმოკლე პლენარული შეხვედრა, საღამოს კი გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და რუსეთის დიპლომატებმა, რომლებიც შუამავლების როლს ასრულებენ, ქართველთა და აფხაზთა დელეგაციას გადასცეს მათ მიერ შემუშავებული დოკუმენტი. ისინი სთავაზობენ ეს დოკუმენტი მიიღონ დისკუსიის საფუძვლად.

აფხაზეთისა და საქართველოს დანარჩენი ნაწილის სახელმწიფო-სამართლებრივი ურთიერთობა „კონფლიქტის ყოვლისმომცველი მოწესრიგების გადამწყვეტი ელემენტია", განაცხადა იტარ-ტასის კორესპონდენტისათვის მიცემულ ინტერვიუში რუსეთის დელეგაციის მეთაურმა, განსაკუთრებულ დავალებათა ელჩმა ფელიქს კოვალიოვმა. აფხაზთა დელეგაციის პოზიციის თანახმად, მომენტიდან, როცა საქართველომ მიიღო კანონი, რომლის შესაბამისად იგი დაუბრუნდა 1921 წლის კონსტიტუციას, ყველა სამართლებრივი ურთიერთობა ორ ნაწილს შორის გაუქმდა. „ახლა საქმე ეხება იმას, — თქვა შემდეგ დიპლომატმა, — რათა გამოვნახოთ როგორც იურიდიული, ისე პრაქტიკული კავშირურთიერთობის აღდგენის გზები".

აღნიშნა რა, რომ „ეს უაღრესად რთული ამოცანაა", ფ. კოვალიოვმა თქვა, რომ „მთელი 1993 წლის განმავლობაში" მოლაპარაკება ძნელად მიმდინარეობდა, რადგან „ერთ-ერთი მხარე" არ ცნობდა საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორიულ მთლიანობას. რუსეთის ფედერაცია, ისევე როგორც გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, ხელმძღვანელობს საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიული მთლიანობით.

სახელმწიფო-სამართლებრივი ურთიერთობის პრობლემის გადაჭრის პარალელურად ხორციელდება ღონისძიებანი ზონაში ლტოლვილების საქმეთა ოთხმხრივი კომისიის მუშაობის დაწყებისათვის, აღნიშნა მან, წინა კვირაში ჟენევაში სხდომებს მართავდა სამუშაო ჯგუფი, რომელიც სწავლობდა კონფლიქტის ზონაში მშვიდობის მხარდამჭერის ოპერაციათა განხორციელების შესაძლებლობას.

შეეხო რა გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და რუსეთის ექსპერტთა მიერ პირველ დღეს შემუშავებულ წინადადებებს, ფ. კოვალიოვმა განაცხადა: „ჩვენ არ ვაპირებთ მხარეებს თავს მოვახვიოთ რაიმე საბოლოო გადაწყვეტილებანი. მაგრამ, დისკუსიის მოსაწყობად, ჩამოვთვალეთ ზოგიერთი საკითხი, რომლებიც უნდა განვიხილოთ. ეს ოდნავ მაინც ხელს შეუწყობს წინსვლას პრობლემათა გადაჭრაში".

რა შედეგებს უნდა ველოდოთ მუდმივი კომიტეტის პირველი სხდომისაგან? — „შემუშავებული იქნება თუ არა კონკრეტული დოკუმენტი. ჩვენთვის ამას დიდი მნიშვნელობა არა აქვს", — თქვა დელეგაციის მეთაურმა. ამავე დროს, არის იმედი, რომ „გადაიდგმება ნაბიჯი აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსის განსაზღვრისა და სახელმწიფო-სამართლებრივი ურთიერთობის აღდგენის გზაზე". კომიტეტის შემდეგ სხდომაზე მოსკოვში, როგორც ფ. კოვალიოვი ვარაუდობს, გაგრძელდება დისკუსია ამ თემაზე და, შესაძლოა, „მოხერხდეს მხარეთა თანხმობის მიღწევა დაიწყონ ერთობლივი მუშაობა" სიცოცხლის უზრუნველყოფის ობიექტების, კერძოდ, ენგურის ჰიდროელექტროსადგურის კასკადის მუშაობის უზრუნველსაყოფად. რითაც დაინტერესებულია ორივე მხარე და რუსეთიც.

ჟენევის ახლანდელი შეხვედრა, ისევე როგორც წინანდელები, მიმდინარეობს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენლის, შვეიცარიელი დიპლომატის ედუარდ ბრუნერის თავმჯდომარეობით. საქართველოს დელეგაციას მეთაურობს საქართველოს პარლამენტის წევრი ჯაბა იოსელიანი, აფხაზეთისას — აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე სოკრატ ჯინჯოლია, მოელიან, რომ კონსულტაციები სამ დღეს გასტანს.

საქართველო-თურქმენეთი

ნაყოფიერი თანამშრომლობა

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ — სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ მიიღო თურქმენეთის რესპუბლიკის მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ანანაგელდი განდიმოვი, რომელიც ხელმძღვანელობდა საქართველოში თურქმენეთის მეწარმეთა დელეგაციას.

დელეგაციის საქართველოში სტუმრობის მიზანი იყო თურქმენეთიდან მოწოდებული გაზის სანაცვლოდ სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო პროდუქციის შერჩევა ჯერ კიდევ დაუფარავი ვალის ანგარიშში.

შეხვედრაზე თურქმენეთის მხარემ კიდევ ერთხელ გამოავლინა ჩვენს რესპუბლიკაში შექმნილი მძიმე ეკონომიკური ვითარების სრული გაგება, რაც იმაში გამოიხატა, რომ 1994 წელს ორმხრივი ხელშეკრულებით გათვალისწინებული 3 მილიარდი კუბური მეტრი გაზის მიწოდებისათვის გადასახდელი მილიონობით ამერიკული დოლარის ნაცვლად საქართველო თურქმენეთს მიაწვდის სამამულო წარმოების პროდუქციას. ამასთან ჩვენი საქონელი თურქმენმა მეგობრებმა ჩვენს მიერ შეთავაზებული ფასებით გაიანგარიშეს.

სახელმწიფოს მეთაურმა მადლობა გადაუხადა თურქმენეთის მხარეს ნაყოფიერი თანამშრომლობისათვის, ჩვენი პრობლემების გაგებისათვის. — რესპუბლიკის მოსახლეობამ კარგად იცის თქვენი რეალური მხარდაჭერის შესახებ, — აღნიშნა მან, — და ჩვენც ყველაფერს გავაკეთებთ, რათა საქართველომ თავის მხრივ შეასრულოს ნაკისრი ვალდებულებანი.

შეხვედრაზე ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ წამოჭრა საკითხი საქართველოში და სხვა ქვეყნებში თურქმენული გაზის ტრანსპორტირების ეკონომიკურად დასაბუთებული ახალი გზების ძიების აუცილებლობის შესახებ.

შეხვედრას ესწრებოდნენ საქართველოს პრემიერ-მინისტრი ოთარ ფაცაცია, ვიცე-პრემიერი ზურაბ კერვალიშვილი, სხვა ოფიციალური პირები.

სახელმწიფოს მეთაურის პრესსამდივნო.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტში

საქართველოს რესპუბლიკის საგზაო მოძრაობის საერთაშორისო ორგანიზაციის (სმსო) მმართველობის წევრის კანდიდატურის წამოყენების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის საგზაო მოძრაობის საერთაშორისო ორგანიზაციის სრულუფლებიან წევრად მიღებასთან დაკავშირებით საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენილებით საგზაო მოძრაობის საერთაშორისო ორგანიზაციაში საქართველოს რესპუბლიკის სრულუფლებიანი წარმომადგენლის, სმსო-ს მმართველობის წევრის სტატუსი მიენიჭა საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს საგზაო პოლიციის სამმართველოს უფროსს **გიორგი გიორგის ძე ჩიჩელაშვილს.**

საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს დაევალა შეარჩიოს და დაამტკიცოს საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე სმსო-ს გენერალური წარმომადგენლის კანდიდატურა, რის შესახებაც აცნობოს საგზაო მოძრაობის საერთაშორისო ორგანიზაციის იურიდიულ დეპარტამენტს.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტში

სოფელ ხრეითის საშუალო სკოლას მიენიჭა ალექსანდრა ჯაფარიძის სახელი

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენილებით დაკმაყოფილდა საქართველოს რესპუბლიკის განათლების სამინისტროს შუამდგომლობა და ჭიათურის რაიონის სოფელ ხრეითის საშუალო სკოლას მიეკუთვნა მსოფლიოში ცნობილი მთამსვლელი ქალის, ქართული ალპინიზმის ფუძემდებლის, სოფელ ხრეითში სკოლის დამაარსებლის, გამგისა და პირველი მასწავლებლის ალექსანდრა ჯაფარიძის სახელი.

დოკუმენტების კომენტარი

ეკონომიკური კრიზისის დაძლევის აუცილებელი პირობა

მოსკოვში დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურების შეხვედრაზე მიღებული ეკონომიკური ხასიათის დოკუმენტების კომენტარი საქინფორმის კორესპონდენტმა ზურაბ გოძილიშვილმა სთხოვა საქართველოს ეკონომიკის მინისტრის პირველ მოადგილეს თამაზ ჩიკვაიძეს და სახელმწიფოს მეთაურის წარმომადგენელს ეკონომიკისა და სტრატეგიული დაგეგმვის საკითხებში პეტრე ზაქრაძეს.

თამაზ ჩიკვაიძე: — ორივე დოკუმენტი ძალზე მნიშვნელოვანია საქართველოს ეკონომიკის დღევანდელი მდგომარეობისა და სამომავლო განვითარების თვალსაზრისით. საქართველოს დელეგაციამ საკმაოდ სერიოზული წვლილი შეიტანა მათი საბოლოო სახით ჩამოყალიბებაში. საქმე ის არის, რომ რადგანაც ჩვენი ქვეყანა უკვე არის დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წევრი, მან მაქსიმალური ძალისხმევით უნდა იღვაწოს, რომ ამ თანამეგობრობით, ეკონომიკური თანამშრომლობით საქართველომ, რაც შეიძლება მაღალი ეფექტი მიიღოს. ეს უნდა გაკეთდეს თავიდანვე, დოკუმენტების მომზადების სტადიაში, როდესაც დისკუსიების და კამათის შედეგად იბადება შეთანხმებული პროექტი. თერთმეტი სახელმწიფო წინასწარ რომ ათანხმებს რაიმე პროექტს, ცხადია, ერთი სახელმწიფოს მიერ მისი პრინციპული შეცვლა ძალზე რთულია. მაგრამ, უნდა ითქვას, რომ საქართველოს დელეგაციის მიერ შეთავაზებული ყველა წინადადება მაინც გათვალისწინებული იქნა სხვადასხვა ფორმით.

ეკონომიკური ბლოკის დოკუმენტებიდან, რა თქმა უნდა, ყველაზე უფრო არსებითი მნიშვნელობა აქვს სახელმწიფოთაშორისო ეკონომიკური ორგანოს შექმნას, მისი ფუნქციებისა და უფლება-მოვალეობების განსაზღვრას. შემოთავაზებული პროექტით იქმნებოდა დამოუკიდებელი ზენაციონალური მუდმივმოქმედი ორგანო — სახელმწიფოთაშორისი ეკონომიკური კომიტეტი გადაწყვეტილებათა მიღების უფლებით. ამასთან დაკავშირებით საქართველოს დელეგაციამ წარუდგინა თავისი შენიშვნები. საბოლოოდ, როგორც გამოქვეყნებული გადაწყვეტილებიდან ჩანს, თანამეგობრობის ქვეყნების ეკონომიკური კავშირის ორგანიზაციული უზრუნველყოფა ამ ეტაპზე მოხდება არა რაიმე ზენაციონალური ორგანოს მეშვეობით — ასეთი იდეა, კომიტეტის სახით უარყვეს — არამედ ორი დონის სხვადასხვა ორგანოთი: პირველი დონე არის საკოორდინაციო-საკონსულტაციო კომიტეტი სახელმწიფოთა ვიცე-პრემიერების შემადგენლობით, როგორც პოლიტიკური ორგანო ეკონომიკური თანამშრომლობის სფეროში, რომლის მთავარი ფუნქციაა სახელმწიფოთა ეკონომიკური პოლიტიკის შეთანხმება, მისი პრინციპული საკითხების შესახებ გადაწყვეტილებების მიღება. მეორე დონე არის საკოორდინაციო-საკონსულტაციო საბჭოსთან არსებული მუდმივმოქმედი მუშა ორგანო — ეკონომიკური კავშირის კომისია, რომლის ძირითადი ფუნქცია იქნება კონკრეტული წინადადებების, ხელშეკრულებების პროექტების, რეკომენდაციების შემუშავება ეკონომიკური ცხოვრების წამყვანი მიმართულებების მიხედვით: ეკონომიკური თანამშრომლობის, ინტეგრაციის ეტაპობრივი განხორციელება, რეფორმის დაჩქარება, მიზნობრივი პროგრამების შემუშავება და რეალიზაცია სხვადასხვა დარგებში, მათ შორის — ენერგეტიკაში, ტრანსპორტზე, სოფლის მეურნეობაში, მრეწველობაში და ა. შ. ამ ორგანოს დებულების მიღება გადაიდო მომავალ შეხვედრამდე და იქ აისახება ყველა შეთანხმებული ნიუანსი. პრესკონფერენციაზე ბატონმა **ბორის ელცინმა** აღნიშნა, რომ ეკონომიკური თანამშრომლობა აუცილებლად უნდა იყოს თანასწორუფლებიანი და ურთიერთხელსაყრელი. ჩვენი დელეგაცია მოითხოვდა ისეთი ფორმულირების დაფიქსირებას დებულებაში, ნაცვლად ეკონომიკურ ინტეგრაციაზე აქცენტის გაკეთებისა, ამოღებულ იქნა აგრეთვე დებულება შრომის დანაწილების გაღრმავების თაობაზე, ადგილებზე კონტროლის უფლების შესახებ და ა. შ., რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, კომისიის გადაწყვეტილება სავალდებულო არ იქნება იმ სახელმწიფოებისათვის, რომლებიც არ იზიარებენ მოცემულ წინადადებას, ან სავალდებულო იქნება გაკეთებული შენიშვნის ფარგლებში. ე. ი. გამორიცხულია ყოველგვარი ძალდატანებითი ზემოქმედება რომელიმე სახელმწიფოს ნების წინააღმდეგ. კომისიის თავმჯდომარე დაინიშნება როტაციული წესით — ამაზედაც პრინციპული თანხმობაა მიღწეული.

ამგვარად, ამ ეტაპზე შეიქმნა ეკონომიკური კავშირის კომისია, როგორც არა ზენაციონალური ორგანო, არამედ როგორც მუდმივმოქმედი მუშა ორგანო, რომელიც შეიმუშავებს რეკომენდაციებს ეკონომიკური განვითარების პრობლემურ საკითხებზე — ენერგეტიკის, ტრანსპორტის, სოფლის მეურნეობისა და სხვა სფეროში.

ძალზე მნიშვნელოვანია აგრეთვე შეთანხმება თავისუფალი ვაჭრობის ზონის შექმნის შესახებ. კერძოდ, ხელშემკვრელი მხარეები არ გამოიყენებენ საბაჟო ბაჟებს, გადასახადებსა და მოსაკრებლებს, რომლებსაც აქვთ ეკვივალენტური მოქმედება. ამ შეთანხმების ამოქმედების თარიღიდან ექვსი თვის განმავლობაში შემუშავდება და შეთანხმდება თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმიდან ამოსაღები საგნების საერთო ნუსხა, აგრეთვე თავისუფალი ვაჭრობის ზონის შექმნამდე გარდამავალ პერიოდში ასეთი ამოღების გამოყენების ან ეტაპობრივი გაუქმების მეთოდები.

თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ საქართველოს საგადამხდელო ბალანსის უარყოფითი სალდო კოლოსალურია, რომ საქართველოს იმპორტი თანამეგობრობის ქვეყნების ხვედრითი წილი ძალზე დიდია, გასაგები ხდება ამ შეთანხმების უდიდესი მნიშვნელობა ჩვენი ეკონომიკის გამოცოცხლებისათვის, კრიზისის შეჩერებისათვის, მეწარმეობის, ბიზნესის სწრაფი განვითარებისათვის და ამის საფუძველზე თითოეული მოქალაქის სადღეისოდ უმძიმესი ეკონომიკური ვითარების თანდათანობით გაუმჯობესებისათვის.

ვიმეორებ, საქართველომ მაქსიმალურად უნდა გამოიყენოს თანამეგობრობაში წევრობა თავისი ინტერესებისათვის. მოსკოვის შეხვედრამ გვიჩვენა, რომ ეს შესაძლებელია.

პეტრე ზაქრაძე: — დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურების შეხვედრაზე, ბუნებრივია, ცენტრალური ადგილი ეკონომიკური კავშირის შესახებ ხელშეკრულების რეალიზაციის პრობლემებს ეკავა. ეს გასაგებიცაა, რადგანაც დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში შესვლა თითოეული ქვეყნისათვის, განსაკუთრებით კი საქართველოსათვის, ემყარება ეკონომიკური რეალობის მოთხოვნებს. ამავე დროს ეკონომიკური კავშირი ჯერჯერობით პრაქტიკულად, ყოველ შემთხვევაში ჩვენთვის, მხოლოდ იურიდიული ფაქტია. ამიტომ საარსებო მნიშვნელობა აქვს იმგვარი მექანიზმის დროულ ჩამოყალიბებასა და ქმედითუნარიანობას, რომელიც შესაძლებლობას შექმნის ეკონომიკური ურთიერთხელსაყრელი და თანასწორუფლებიანი თანამშრომლობის უპირატესობათა მაქსიმალური ეფექტიანობით გამოყენებისათვის.

ამგვარი მექანიზმის საკვანძო რგოლი უნდა გახდეს ეკონომიკური კავშირის კომისია, რომლის თაობაზე გადაწყვეტილება მიღებულ იქნა განვლილ შეხვედრაზე. ამ კომისიამ მნიშვნელოვანწილად უნდა უზრუნველყოს ეკონომიკური კავშირის სიცოცხლისუნარიანობა. ამიტომ ამგვარი სახელმწიფოთაშორისი სტრუქტურის შექმნის საჭიროება ეჭვს არ იწვევს.

ეკონომიკური კავშირის კომისია მუდმივმოქმედი სტრუქტურაა, რომელსაც დანიშნულების თვალსაზრისით, ცხადია, ანალოგები აქვს სხვა საერთაშორისო ეკონომიკურ გაერთიანებებში, მათ შორის, ევროპის ეკონომიკურ გაერთიანებაში (სხვადასხვა სახელწოდებით, და ბუნებრივია, ფუნქციათა სპეციფიკურად განსხვავებული მასშტაბებით). მისი საქმიანობის ძირითადი მიმართულება იქნება საერთო ეკონომიკური სივრცის ფორმირების მექანიზმის ჩამოყალიბება.

ცხადია, ამგვარი მექანიზმის ამოქმედება მარტივი პრობლემა არ არის, მაგრამ უამისოდ ჩიხიდან გამოსვლა თითქმის წარმოუდგენელია. საქართველოს ღრმა ფინანსური კრიზისისა და ნაკლებკონკურენტუნარიანი პროდუქციის პირობებში ალტერნატიული ეკონომიკური კავშირების შექმნა მეტისმეტად ძნელდება. სწორედ ეს არის ეკონომიკური კავშირისადმი ჩვენი სწრაფვის საფუძველი. ფაქტია, რომ რეალურად საბაზრო ურთიერთობა დღეს ჩვენ სწორედ რუსეთისა და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სხვა ქვეყნების სივრცეზე შეგვიძლია განვახორციელოთ. თანაც, არა გვაქვს უფლება მომავალ თაობებს პრობლემად გავუხადოთ რუსეთის ბაზარზე შეღწევა, სადაც დღეისათვის ფეხის მოკიდების დიდი შანსი გვაქვს. თანამეგობრობის ქვეყნების ეკონომიკის პოსტსოციალისტური, გენეტიკურად, სტრუქტურულად და სისტემურად ერთგვარი ხასიათი განაპირობებს იმას, რომ კომისიის ფუნქციად დავსახოთ თანამშრომლობა ეკონომიკური რეფორმის განხორციელებაში. მისი სამართლებრივი ბაზის ჩამოყალიბებაში. ეს მით უფრო მნიშვნელოვანია და შესაძლებელი, რომ თანამეგობრობის ყველა ქვეყანას სისტემური და სტრუქტურული რეფორმების განხორციელებაში ერთნაირი რეკომენდაციებით დახმარებას უწევენ საერთაშორისო სავალუტო ფონდი და მსოფლიო ბანკი.

საერთო ეკონომიკური სივრცის ჩამოყალიბებისა და ეკონომიკური თანამშრომლობის უპირატესობათა გამოყენების ბაზა უნდა გახდეს შეთანხმება თავისუფალი ვაჭრობის ზონის შესახებ.

ამ შეთანხმების საფუძველზე მოიხსნება გადასახადები და მოსაკრებლები და რაოდენობრივი შეზღუდვები ურთიერთვაჭრობაში, საქონლის და მომსახურების თავისუფალ გადაადგილებაში, შეიქმნება სავაჭრო და სხვა ოპერაციების მიხედვით ურთიერთანგარიშსწორების ეფექტიანი მექანიზმი. თავისუფალი ვაჭრობის ზონამ უნდა მოხსნას ის სიძნელეები, რაც უკანასკნელ წლებში სავაჭრო და საგადასახადო ბარიერების გამო შეიქმნა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ბაზარზე ჩვენს ტრადიციულ საექსპორტო საქონელს, როცა მაღალი გადასახადების გამო გაძნელდა ღვინის, ჩაის და სხვათა გასაღება.

საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, ეს შეთანხმება დიდ პერსპექტივებს უქმნის საქართველოს, როგორც სატრანზიტო ქვეყანას. ასევეა რეექსპორტის თვალსაზრისითაც. თანამეგობრობის ქვეყნების სანედლეულო რესურსების მომგებიანი რეექსპორტის ხარჯზე იქმნება შემოსავლების გადიდების კარგი პერსპექტივა.

აღნიშნულის გარდა განვლილ შეხვედრაზე (მთავრობათა მეთაურების დონეზე) განხილული იქნა ისეთი მნიშვნელოვანი ეკონომიკური დოკუმენტები, როგორიცაა შეთანხმებანი ტრანსნაციონალური სამრეწველო ჯგუფების, საწარმოო ასოციაციების, საფინანსო-საკრედიტო ორგანიზაციების, აგრეთვე საწარმოო კოოპერაციის განვითარებისადმი ხელშეწყობის შესახებ, შრომითი რესურსების მიგრაციის ნორმალიზაციის თაობაზე და სხვა საარსებოდ მნიშვნელოვანი საკითხები.

> „ჩვენისთანა ბედნიერი განა არის სადმე ერი?!"

საერო სასწავლებლები — ეროვნული კატასტროფის ნიშნით!..

მაშ ასე: ფასიან უმაღლეს სასწავლებლებს არასახელმწიფო საერო სასწავლებლები ჰქვიათ! არასახელმწიფო. მაგრამ საერო! — რა კარგად ჟღერს. [illegible]

ხომ გვქონდა ტრადიციული სახელმწიფო სასწავლებლები — უნივერსიტეტები, აკადემიები, ინსტიტუტები, კოლეჯები, ტექნიკუმები!

ახლა გაჩნდა, გაჩნდა კი, არა, უკვე წაგვლეკა ფასიანმა უნივერსიტეტებმა, ინსტიტუტებმა, აკადემიებმა, კოლეჯებმა, ტექნიკუმებმა...

გაგანია ომით, შიმშილით, ურთიერთდაპირისპირებით გაწამებულ ქვეყანაში თურმე უფრო ადვილი ყოფილა უცოდინარი აბიტურიენტებისა და მათი მშობლების მოტყუება... ახლა სამტრედიელი ან ზესტაფონელი მშობელი ნიშნის მოგებით რომ ჰკითხავს მეზობელს, შენი ბალღი სად სწავლობსო, მეზობელი შუბლს შეიკმუხნის, კარგად დაფიქრდება, ჯიბიდან ფურცლის ნაგლეჯს ამოიღებს და დამარცვლით წაიკითხავს:

თბილისის არასახელმწიფო საერო ჰუმანიტარულ-ტექნიკური ინსტიტუტის საერთაშორისო მენეჯერის სპეციალობაზე!

— მერე, გეიგე რამე, რას უნდა ნიშნავდეს ეს? — ჩაეკითხება მეზობელი.

— ვერაფერი გევიგე, მარა, რაცხა ლამაზად რო ჟღერს და ტელევიზიაშიც რო აცხადებენ, ქე მომწონს!

— ჩემიც მაგნაირ რაღაცაზე სწავლობს, მარა, სწავლის ქირა მეშწუხება, დოლარებზე გადასულან, ის მამაცხონებულები...

— აბა, რავა გინდა, ჩემო მეზობელო, არ ისწავლო, თავი არ შეიწუხო და კუპონებზე მოგცენ საერთაშორისო სპეციალობის დიპლომი?..

„საქართველო ერთადერთი ქვეყანაა მსოფლიოში, სადაც არცოდნაში, არაფრისმქნის დიპლომში ფულს იხდიან!

მარტოოდენ ამბიციურობა არ არის ეს! ლამის მთელი ერის ზნეობრივი დეგრადაცია და გადაგვარება ჰქვია ამას! ეს ნამდვილი კატასტროფაა! ეს არის კურიოზი, რომელიც გინესის რეკორდების წიგნსაც დაამშვენებდა!

ჯერ იყო და, სოციალიზმის დროს, ტრაბახმა დაგვაბრმავა, პროცენტულად ყველაზე მეტი უმაღლესდამთავრებული გვყავს, ახლა სირცხვილის ელემენტარული გრძნობაც დავკარგეთ და... სულ რაღაც 3-4 წელიწადში ოციოდე სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლის გვერდით 204 (!!!) ფასიანი „უმაღლესი სასწავლებელი" შევქმენით!

ღმერთო ჩემო, ერთ ციდა საქართველოში, ვიმეორებ, ომითა და გაჭირვებით, შურითა და ბოღმით დანგრეულ ქვეყანაში, დღეს ამ ფასიანებში 80.000-ზე მეტი აბიტურიენტი „სწავლობს" (!) და ხვალ-ზეგ აბსოლუტურად არაფრისმცოდნე, ამბიციურ „სპეციალისტებს" წამოგვიფრენს!

თანაც, სასწავლებლებს ვისი სახელები არ დაარქვეს: დავით აღმაშენებლის, თამარ მეფის, ნიკიფორე ირბახის, პეტრე იბერის, არისტოტელეს და ა. შ. ღირსეულ წინაპართა სახელები სასწავლებელში „პინგვინთა" (ასე უწოდებენ უცოდინარ აბიტურიენტებს!) შეტყუებისა და სწავლების ქირის გაზრდის ერთ-ერთი ხერხია მხოლოდ... მართლაც რას არ იკადრებს ადამიანი!

ვისაც დღევანდელი საქართველოს ჭრილობები ოდნავ მაინც სტკივა, ვისაც ხვალინდელი დღისა ოდნავ მაინც ეშინია, შეუძლებელია ამ დიპლომომანიამ არ აღაშფოთოს!

რას ჩავდივართ, ხალხო! — უზარმაზარ რუსეთის ფედერაციაში (მოსკოვისა და სანქტ-პეტერბურგის გამოკლებით) მხოლოდ 20-ოდე უმაღლესი სასწავლებელია... უზარმაზარ ინგლისში (დიდ ბრიტანეთში) არცერთი ფასიანი სასწავლებელი არ არის, თვით ჩვენთვის მოდურად „სათაყვანებელ" ამერიკის შეერთებულ შტატებშიც კი სახელმწიფო და ფასიან სასწავლებელთა საერთო რიცხვი 80-ს არ აღემატება!, არაფერს ვამბობ გერმანიის (როგორც გვიმტკიცებენ) რიცხობრივად და ხარისხობრივად საოცრად დაბალანსებულ საგანმანათლებლო სისტემაზე. — ჩვენთან რა გამართლება შეიძლება მოეძებნოს ამ **საყოველთაო პროფანაციისაკენ კოსმოსურ სწრაფვას?**

რა თქმა უნდა, ამას არავითარი გამართლება არ შეიძლება ჰქონდეს!

ეს არა მარტო განათლების პროფანაციაა, არამედ ქვეყნის ღალატიც არის! დიახ, ქვეყნის ღალატი, რადგან დაბალი (უმდაბლესი) კვალიფიკაციის ათასობით დიპლომიანი შარახვეტია მნიშვნელოვანს ვერაფერს შექმნის, დღევანდელი ცხოვრება და საბაზრო ეკონომიკა კი ვიდრე მას გარიყავს, მანამდე სულ დაგვანგრევს იმასაც, რაც ჯერ კიდევ, ასე თუ ისე, დაგვრჩენია! და რაც მთავარია: ფასიანი სასწავლებლების აბიტურიენტ-სტუდენტები შესაშური მონდომებით ემალებიან სამხედრო კომისარიატებს, თავს არიდებენ სავალდებულო სამხედრო სამსახურს, ის კი ავიწყდებათ, რომ თუ საქართველოს გაპარტახება ასე გაგრძელდა, მალე ის დოლარებზე ნაყიდი დიპლომიც ოხრად დარჩებათ და საკუთარი თავიც!

მართლაც, რა ჰქვია ყოველივე ამას, გარდა ქვეყნის, ერის, კაცობის, ელემენტარული სინდისნამუსის ღალატისა?..

დიდი დებატებისა და აზრთა ჭიდილის შემდეგ, 17 მარტს ჩვენმა პარლამენტმა დაამტკიცა დებულება რესპუბლიკის არასახელმწიფო, საერო სასწავლებლების შესახებ.

ამას მოჰყვა სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლების რექტორთა განცხადება-შეშფოთება, რომელიც ზუსტად ამ სათაურით — **„შეშფოთება"**, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" 2 აპრილის ნომერში დაიბეჭდა.

ამ შეშფოთების „განეიტრალებას" ისახავდა მიზნად პარლამენტის მეცნიერებისა და განათლების კომისიის მიერ ახლახან მოწყობილი შეხვედრა დედაქალაქის წამყვანი უმაღლესი სასწავლებლების რექტორებთან.

ვუსმენდი აქ მოსულ მეცნიერებს, ჩვენი ახალგაზრდობის, ჩვენი განათლების სისტემის, ჩვენი გასაცოდავებული ქვეყნის ჭეშმარიტ გულშემატკივრებს და ტანში მზარავდა!

რამაზ კუპრავა, პროფესორი, მეცნიერებისა და განათლების საპარლამენტო კომისიის თავმჯდომარე: რა თქმა უნდა, სტიქიურად მიშვებული ფასიანი სწავლების პროცესის მოგვარება ურთულესი საქმეა. ამიტომ მოგიწვიეთ აქ, რომ პრობლემები ერთობლივად გადავწყვიტოთ. მალე დავიწყებთ ფასიანი უმაღლესი სასწავლებლების აკრედიტაციას (ატესტაციას) და ლიცენზირებას. ვინც სერიოზულ პირობებს ვერ დააკმაყოფილებს, ბუნებრივია, მომავალში აბიტურიენტთა მიღების უფლებას დაკარგავს... შემდეგ კი, ალბათ, გაუქმდება...

როინ მეტრეველი, აკადემიკოსი, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი: რაც ფასიანი სასწავლებლების ასე განუკითხავად გახსნითა და განათლების პროფანაციით დაგვემართა, უდიდესი ეროვნული სირცხვილია, თავი არსად გამოგვეყოფა... დღეს, ფაქტობრივად, საქართველოში არ არსებობს საერთაშორისო ნორმებისა და სახელმწიფო სტანდარტების შესაბამისი კრიტერიუმები ფასიანი სასწავლებლების შესაქმნელად. ლიცენზიების გაცემის ახლანდელი წესი, რომლის საფუძველზეც უკვე 204 (!) არასახელმწიფო უმაღლესი სასწავლებელი გავხსენით, საქართველოში საუნივერსიტეტო და საინსტიტუტო განათლებას სრული ქაოსით და კატასტროფით ემუქრება... ფასიანი სწავლების წინააღმდეგი არა ვართ, ოღონდ უნდა დავიცვათ ელემენტარული ნორმები. გავიაროთ სათანადო აკრედიტაცია და... თითო-ოროლა სასწავლებელი, ალბათ, შეძლებს თანამედროვე მოთხოვნების დაკმაყოფილებას. წინააღმდეგ შემთხვევაში, ვიმეორებ, თავსაც ვიტყუებთ, ერსაც ვატყუებთ და მსოფლიოს თვალშიც სასაცილონი გამოვდივართ...

როინ მეტრეველის მოსაზრებას აბსოლუტურად დაეთანხმნენ და თავიანთი კონკრეტული წინადადებები წამოაყენეს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა **რამაზ ხუროძემ**, საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის რექტორმა, აკადემიკოსმა **ნაპოლეონ ქარქაშაძემ**, თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორმა, პროფესორმა **ვახტანგ ხართანიამ**, საქართველოს ფიზიკური კულტურის სახელმწიფო ინსტიტუტის რექტორმა, პროფესორმა **ომარ გოგიაშვილმა**, თბილისის სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორმა პროფესორმა **რამაზ ხეცურიანმა**, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის რექტორმა, პროფესორმა **ნოდარ გაბუნიამ**, საქართველოს თეატრისა და კინოს სახელმწიფო ინსტიტუტის რექტორმა, პროფესორმა **გიზო ჟორდანიამ** და სხვებმა.

შეხვედრაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს პარლამენტის სპიკერმა, პროფესორმა **ვახტანგ გოგუაძემ**, შეხვედრას ესწრებოდნენ პარლამენტის ვიცე-სპიკერი **რუსუდან ბერიძე**, პარლამენტის სხვა წევრები.

მთავარი დედააზრი, რომელიც კიდევ ერთხელ დაადასტურეს შეხვედრის მონაწილეებმა, ასეთი იყო: **ფასიანი სწავლების წინააღმდეგი არა ვართ, მაგრამ ვიყოთ ობიექტური და პრინციპული, დროზე ვუთხრათ სიმართლე ერთმანეთს, ნუ დავღუპავთ ახალგაზრდობას, ისედაც უკიდურესად მძიმე მდგომარეობას კიდევ უფრო ნუ დავამძიმებთ...**

ისწავლოს იმან, ვისაც სწავლა (ეს უმძიმესი შრომა) შეუძლია, ვისაც, ღვთისა და ბუნებისაგან, თუნდაც სწავლის ელემენტარული ნიჭი აქვს მომადლებული. ასწავლოს იმან, ვისაც არა მარტო სათანადო განათლება, არამედ ელემენტარული სასწავლო ბაზა აქვს!

ნუ შეურაცხვყოფთ განათლებას, ნუ შეურაცხვყოფთ რუსთაველის, სულხან-საბას, გურამიშვილის, ილიას, აკაკის, იაკობის ქვეყანას!..

სპარტაკ ქობულია.

• • •

რედაქციისაგან: დარწმუნებული ვართ, ამ პუბლიკაციას მკითხველი გამოეხმაურება. სიამოვნებით მივიღებთ და დავუთმობთ კიდეც ადგილს ჩვენი გაზეთის ფურცლებზე ყოველ კონკრეტულ წინადადებას ამ გლობალური პრობლემის გარშემო...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადამიანი დროში

ხ ვ ე დ რ ი

საქართველო და მისი მეთაური ისტორიის გზაჯვარედინზე



ედუარდ შევარდნაძე — ყოფილი საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი, 1992 წლის 7 მარტს თავის გაპარტახებულ სამშობლოში დაბრუნდა. ეს საერთაშორისო პოლიტიკურ ასპარეზზე აღიარებული და დაფასებული, თვისტომთა ერთი ნაწილისგან კი ათასგზის შეურაცხყოფილი ქართველის საბოლოო არჩევანი იყო. არჩევანი, გაკეთებული შხამნარევი მოკითხვებით აღძრული ტკივილებისა და წყენის დიდსულოვნად დათრგუნვა-დავიწყების შემდეგ.

იგი დაბრუნდა მთელი თავისი განვლილი გზით, დამსახურებებითა და შეცდომებით, თავისი მდიდარი ბიოგრაფიის ტვირთითა და კაპიტალით, საკუთარი ერის მხარში ამოსადგომად, რომლის ნაწილი დღესაც არ სწყალობს მას...

„ვიცი, რომ ჩემზე ყველა არც მაღალი აზრის არის და არც კარგად მიხსენიებს, მართალია, ეს ვერაფერი სასიამოვნოა, მაგრამ კანონზომიერია. შეუძლებელია ამით ყველას, განსაკუთრებით კი იმათ, ვისი ბედის გადაწყვეტის უფლება მე მქონდა. ამ უფლებამ იმათ არა მარტო უხერხული მდგომარეობა შეუქმნა, არამედ შესაძლო ტკივილიც მიაყენა". — ასე ხსნის ედუარდ შევარდნაძე თავის ირგვლივ საზოგადოებრიობის არაერთგვაროვან აზრს, რომელსაც მყარად აქვს გადაწყვეტილი: აღარასოდეს დატოვოს სამშობლო, მას მოახმაროს დარჩენილი ძალები, ცოდნა, გამოცდილება, სახელი და ღირსება.

სადღაც წამიკითხავს: ორი კაცი ციხის გისოსებიდან იყურებოდა, ერთმა ვარსკვლავები დაინახა, მეორემ — ტალახი. იგივე დაემართა ჩვენც, ძველებური აზროვნების ციხეში გამოკეტილ ქართველებს: ნაწილმა ედუარდ შევარდნაძეში მოყვარე დავინახეთ, ნაწილმა — მტერი, ზოგმა — ხელებდაკაპიწებული თანამებრძოლი, ზოგმაც — გამყიდველი და, იქიდან მოყოლებული, ზოგს გვიყვარს, ზოგსაც გვძულს, ზოგი ვაფასებთ, ზოგიც ვგმობთ. არადა, როგორც ნოდარ დუმბაძე იტყოდა: ადამიანი ფურცელი არ არის და არ შეიძლება მისი სიბრტყეზე წაკითხვა, ის ისე უნდა დაათვალიერო (რა თქმა უნდა, თუ მისი შეცნობა გულწრფელად გსურს და აკვიატებული აზრის მონა არა ხარ), როგორც ქანდაკება, ირგვლივ შემოუარო, იმ წერტილიდან შეხედო, საიდანაც უკეთ მოჩანს. შეუძლებელია ამის შემდეგ კაცში მხოლოდ კარგი ან მხოლოდ ცუდი დაინახო (უშეცდომო და უცოდველი ხომ მხოლოდ უფალია!).

ედუარდ შევარდნაძეს დღეს ერთნი შინაგანად თავისუფალ, ნათელი, გამჭრიახი, ანალიტიკური გონების, უდიდესი ნებისა და გამოცდილების, საერთაშორისო გავლენის მქონე სახელმწიფო მოღვაწედ მიიჩნევენ, რომელმაც საქართველო მომაკვდინებელ იზოლაციას გადაარჩინა და დემოკრატიული განვითარების გზაზე გაიყვანა, მეორენი კი — წარუმატებელ პოლიტიკოსად, რომლის ჩამოსვლას ნგრევის მეტი არაფერი მოჰყოლია. ამიტომაც გავბედე და საქართველოს სახელმწიფოს მეთაურთან, პარლამენტის თავმჯდომარესთან ედუარდ შევარდნაძესთან საუბარი ასეთი შეკითხვით დავიწყე:

— ბატონო ედუარდ! მსოფლიო მასშტაბის პოლიტიკოსს რატომ გაქვთ ამდენი წარუმატებლობა საკუთარ პატარა სამშობლოში?

— ახლა, როცა ამაზე ვფიქრობ, ძნელი სათქმელია, მაგრამ ყველაფერი კანონზომიერია. ვერ ვიტყვი, რომ ბუნებამ ან ღმერთმა დაგვსაჯა და ა. შ. ჩიხში შესვლისა და წარუმატებლობის კანონზომიერება ისევ ადამიანის მოქმედებიდან გამომდინარეობს. შეცდომათა სერიაა, ჩიხამდეც სწორედ კანონზომიერების, საზოგადოებრივი კანონების უგულებელყოფამ მიგვიყვანა.

არ შეიძლებოდა, არ დასჯილიყო ხალხი, უფრო სწორად, ქვეყანა და მისი ხელმძღვანელობა, რომელიც იზოლაციისკენ ისწრაფვოდა. დღევანდელი მსოფლიო ინტეგრირებულია, ლაპარაკია მსოფლიო სივრცეებზე, საპლანეტთაშორისო სივრცეებზე, ჰუმანურზე, სამართლებრივზე და ა. შ. საქართველომ კი აირჩია შუასაუკუნეობრივი აზროვნების დონეზე მიღებული გადაწყვეტილებები, ნაჭუჭში ყოფნა. ძირითადად ეს იყო წარუმატებლობის მიზეზი, რაც ჯერ კიდევ არ დაძლეულა. კანონზომიერება კი, იმიტომ არის კანონზომიერება, რომ მისი დაძლევა, თავიდან აცილება, ხშირად ერთ ადამიანს არ შეუძლია. ყველაფერ იმას, რაც ბოლო წლების საქართველოში ხდებოდა, ლოგიკურად მოვყავდით აქამდე. წარუმატებლობის მიზეზი, რა თქმა უნდა, საკუთარიც ბევრია, თუნდაც ომები, მაგრამ ჩიხიდან გამოსვლის გზები რომ უკვე გამოიკვეთა, აშკარაა და ესეც კანონზომიერია. გაჩნდა პერსპექტივა: ჩიხიდან ისევ კანონზომიერების შეცნობით უნდა გამოვიდეთ. თითქოს მივდივართ კიდეც ამ გზით.

დღეს საზოგადოებრიობის უმეტესობა სინანულით ამბობს, რომ მხურვალედ მიესალმნენ შევარდნაძის საქართველოში ჩამოსვლას, მისი „მაგარი ხელის" იმედით, მაგრამ ეს იმედი გაუცრუვდათ, სიმკაცრის ნაცვლად, რომელიც ესოდენ სჭირდებოდა ქაოსში მყოფ, მაფიური კლანებითა და კრიმინალებით გამოხრულ ქვეყანას, შევარდნაძემ მისთვის შეუფერებელი სისუსტე გამოიჩინაო. ზოგი ამას სახელმწიფოს მეთაურის უსაზღვრო გადემოკრატებით ამართლებს, ზოგიც დიქტატორის იარლიყის მიწებების შიშით ხსნის.

ედუარდ შევარდნაძე მამაცი კაცი რომ არის, ეს საქვეყნოდ მრავალგზის დაუმტკიცებია მშვიდობის ჟამსაც და ომშიც. ამას რომ „ქულების ჩასაწერად" არ აკეთებს და მისი ხასიათიდან გამომდინარეობს, მაქებარიც და მძაგებელიც ერთნაირად აღიარებს. თვითონ კი ამბობს: შიში, თავისთავად, შეღავათს არ მაძლევს და რისთვის უნდა მეშინოდეს. როდის სძლია შიშს?

მისი შინაგანი მონოლოგი:

> „ხანდაზმული და ჯანგატეხილი ბიძაჩემი სოფლის ფოსტალიონად მუშაობდა. ძალზე უჭირდა რაიონული ცენტრიდან ყოველ დღე, უტრანსპორტოდ თორმეტი კილომეტრის გავლა. შევეშველე. მთის ბილიკებზე, თუმცა არც მაინცდამაინც იოლი, მაგრამ უმოკლესი გზა ვიცოდი. მაშინ ათი წლისა ვიყავი, როგორც ყველა ბიჭს, მეც მელანდებოდა ტყის ნადირი, მაგრამ იმდენად დიდი იყო დახმარების სურვილი, გადაწყვეტილება არ შემიცვლია. ალბათ პირველად მაშინ ვძლიე შიშს".

რაც შეეხება „იარლიყების შიშს", თურმე აქ შიში არაფერ შუაშია:

— ასარჩევი გზა საქართველოს ბევრი არ ჰქონდა. ქვეყანას ან დიქტატურის, ავტორიტარული მართვის გზით უნდა ევლო, ან — დემოკრატიულით. თუ დიქტატურას ავირჩევდით, დროებით რაღაც ეფექტს მივიღებდით, მაგრამ ეს გამოიწვევდა იმ იზოლაციის კიდევ უფრო გაღრმავებას, რომელმაც დამღუპველ შედეგამდე მიგვიყვანა. ვინც უნდა ყოფილიყო ხელისუფლების სათავეში, მათ შორის შევარდნაძეც, თუკი ამ გზას დაადგებოდა, აბსოლუტურ იზოლაციას ვერ ასცდებოდა.

მახსოვს, როცა საქართველოში დაბრუნებაზე გადაწყვეტილება თითქმის მივიღე, გენშერს დავურეკე და ვკითხე, მაქვს თუ არა რაიმე გარანტია, რომ როცა საქართველოში დავბრუნდები, დასავლეთი მხარს დამიჭერს-მეთქი. მიპასუხა, რა თქმა უნდა, ჩვენ ყველანი შენი მეგობრები ვართ, ვიქნებით და გვერდითაც დაგიდგებით, მაგრამ რაც შეიძლება მალე უნდა გახდეს ხელისუფლება ლეგიტიმური. თუ საქართველოში ლეგიტიმური ხელისუფლება არ იქნება, მის სათავეში თქვენც რომ იყოთ, მხარის დაჭერა გაგვიჭირდებაო. ლაპარაკია იმაზე, რომ ის გზა, რომელზე უარის თქმის გამოც ახლა მსაყვედურობენ: „მაგარი ხელი, რკინის მუშტი" და ა. შ. კიდევ უფრო ძნელი და დამღუპველი იქნებოდა. ამიტომაც ვარჩიე დემოკრატიის გზით სიარული. არც დემოკრატია არის იდეალური ფორმის. თავისი ღირსებები და ნაკლოვანებები მასაც აქვს. მაგრამ როგორც ჩერჩილი ამბობდა, უკეთესი დღემდე არაფერი მოგვიგონია. ამიტომაც გვინდა თუ არა, უნდა შევეგუოთ იმას, რომ ქვეყნის საშენებლად დღეს ის „მაგარი ხელი" აღარ გამოდგება.

ამას წინათ ერთ-ერთ შეკრებაზე მითხრეს, სამოცდაათიანი წლების შევარდნაძე გაიხსენე და ისეთი იყავიო. არ იქნება, აღარ განმეორდება ის შევარდნაძე. გზა, რომელსაც ვადგავართ, აუცილებლად გასავლელია. მართალია, სამწუხაროდ, მას თან სდევს ისეთი რთული მოვლენები, როგორიც არის კრიმინოგენული ვითარების გართულება, კორუფცია, მაგრამ ისევ და ისევ მსოფლიოში ნაცადი გზებითა და ხერხებით უნდა ვებრძოლოთ მათ.

თუ ვინმე ხალხს ჰპირდება, ხელისუფლებაში მოვალთ და სწორედ „მაგარი ხელით" დავამყარებთ წესრიგსო, ტყუილია. უფრო მეტი მსხვერპლი იქნება და ქვეყანას უფრო მეტი ანარქია მოიცავს. ვინც დიქტატურას ნატრობს, ვთხოვ, რომ გაითვალისწინოს: დიქტატორული რეჟიმი დადებით განცდებსა და ემოციებს არ იწვევს. სადაც კი ასეთი რეჟიმი ყოფილა, გარკვეული დროის შემდეგ ხალხს თვითონ უთქვამს უარი მასზე, წელიწადში რამდენჯერმეც შეუცვლიათ რეჟიმი, რადგანაც დიქტატურა ადამიანის ბუნებისათვის მიუღებელია.

იმ გზით, რომლითაც საქართველო დღეს მიდის, უფრო მეტი საფუძველი ეყრება იმას, რასაც მომავლის საზოგადოება ჰქვია.

— ხშირად გსაყვედურობენ, ვერ გავიგეთ რა სოციალური წყობის სახელმწიფოს აშენებთო. თქვენ კი ადრეც და მოქალაქეთა კავშირის პირველ ყრილობაზეც განაცხადეთ, რომ ამ კავშირთან ერთად სტრატეგიულ მიზნად გაქვთ დასახული 2 000 წლისათვის ახალი დემოკრატიული, სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბება, ხოლო დარჩენილი პერიოდი ძველი სოციალური წყობის ახლით შეცვლის გარდამავალ პერიოდად გამოაცხადეთ. მაგრამ, ვინაიდან ამ ახალი წყობის სახელმწიფოს მშენებლობას მოქალაქეები უთანასწორო პირობებში იწყებენ (ზოგი ძალიან მდიდარია, ზოგიც — ღატაკი, ზოგიც — ხიზანი), ხომ არ არის მომავალში საზოგადოების კვლავ კლასებად დაყოფის საშიშროება, განვლილ პერიოდში მშრომელთა ხარჯზე პრივილეგირებული ფენის აღორძინებით? და კიდევ: საკუთრების რომელი ფორმის მომხრე ბრძანდებით?

— ტოტალიტარიზმიდან ღია, დემოკრატიული ტიპის საზოგადოებრივ სისტემაზე გადასვლა მძიმე და მტკივნეული პროცესია. საქართველო სწორედ ამ რთულ გზაზე იმყოფება, როცა სახელმწიფოებრიობის ცნება თითქმის წაშლილია, წინა პლანზე გამოდის მაფიურ-კლანური ინტერესები. ამასვე უკავშირდება საზოგადოების კლასებად, პრივილეგირებულ ფენებად დაყოფის საშიშროება. ახალი, ცივილიზებული წესრიგის დაცვა შეუძლებელია, თუ არ ჩამოყალიბდა ძლიერი ხელისუფლება, კიდევ უფრო ეფექტიანად არ ამოქმედდნენ სამართალდამცავი სტრუქტურები, სრულად არ განხორციელდა სამართლებრივი და ეკონომიკური რეფორმები.

მოქალაქეთა კავშირის ყრილობის ტრიბუნიდან არაერთხელ აღინიშნა, რომ ხელი უნდა ავიღოთ სახელმწიფოს მოწყობის იდეალისტურ მოდელზე, ქვეყნის ცხოვრების წარმართვის განყენებულ სქემებზე, ჩვენი მიზანი უნდა იყოს თანამიმდევრული ევოლუციური გადასვლა თანამედროვე ტიპის სამოქალაქო საზოგადოებრივ პრინციპებზე, რომელშიც დომინირებს კერძო საკუთრება, როგორც პიროვნების თავისუფლების ერთ-ერთი რეალური და აუცილებელი საფუძველი. ადამიანის აღიარებულ უფლებათა დაცვა ცივილიზებულ სამყაროში დემოკრატიის უმთავრესი პირობაა, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია მოქალაქეთა აქტიურობის ზრდა, — თითოეულმა მოქალაქემ უნდა გაიცნობიეროს საკუთარი მნიშვნელობა, როგორც ერის, სახელმწიფოს კეთილდღეობის ძირითადი ფაქტორი, ხოლო სახელმწიფო და კანონი უნდა იცავდეს მის უსაფრთხოებას, საკუთრებას, თავისუფლებას.

აქვე არ შემიძლია გულწრფელი მადლიერებით არ აღვნიშნო ჩვენი მოსახლეობის მოთმინება და სულგრძელობა, რომელსაც ისინი იჩენენ ქვეყნისათვის ამ მძიმე ჟამს. ამიტომ ღრმად მწამს, რომ საქართველოს სახელმწიფოებრიობა, დემოკრატიული განვითარების შეუქცევადი პროცესია და ჩვენს ქვეყანას ელის ღირსეული მომავალი.

— ოპოზიცია გსაყვედურობთ, რომ არ გსურთ რეფორმისტული მთავრობა, ჩვენმა მინისტრთა კაბინეტმა მაინც და მაინც ვერ გვიჩვენა, რომ ქვეყნის ნამდვილი მეურნე — მოჭირნახულეა და აი, იმ მომავალს, ახლა რომ ბრძანეთ, ბევრი პესიმისტურად უყურებს...

— რეფორმათა სრული მასშტაბით წარმართვას მრავალი ობიექტური თუ სუბიექტური ფაქტორი აფერხებს. დღეისათვის საქართველოს მთავრობის ძირითადი ამოცანაა ქვეყნის უმძიმესი კრიზისიდან გამოყვანა, გარკვეული სტაბილურობის მიღწევამდე შეუძლებელია რაიმე წინსვლაზე საუბარი. მინისტრთა კაბინეტის გაუთავებელი საკადრო ცვლილებები თუ არ ავნებს, ხელს ვერ შეუწყობს ეკონომიკური პროცესების პოზიტიურად წარმართვას. როგორც იტყვიან, ვერასოდეს მოხატავ ტაძარს, თუკი ყოველ წამს მის ხელახლა აგებას შეუდგები.

საზღვარგარეთ ბოლოდროინდელი ვიზიტების დროს, საქმიან წრეებთან ურთიერთობისას, არაერთხელ გამოითქვა უკმაყოფილება საქართველოში მინისტრთა ხშირ ცვლაზე, რაც ქვეყანაში არასტაბილურობის შეგრძნებას იწვევს. ეს კი უცხოელ ინვესტორებსა და ბიზნესმენებს აფრთხობს.

ამავე დროს, გასათვალისწინებელია, რომ მართვის ახალი პრინციპებისა და მეთოდების გამოცდილება არა გვაქვს და მინისტრთა კაბინეტი გამონაკლისი არ გახლავთ. მას დრო სჭირდება, რადგან მართვის ახალი სკოლა ჩამოსაყალიბებელი და დასახვეწია.

ვფიქრობ, პარლამენტის ძირითადმა შემადგენლობამ სწორად გაიგო ყოველივე, რაც მინისტრთა კაბინეტის დამტკიცებისას გარკვეულად დადასტურდა კიდეც.

პაუზა

> **საუბრისას ედუარდ შევარდნაძე უშუალოა. ერთი შეკითხვით შეიძლება მრავალ საინტერესო საკითხზე გიპასუხოთ. ეს მისი შინაგანი თავისუფლების შედეგია...**
>
> **იგი ამბობს იმას, რაც სჯერა, ამბობს ისე, როგორც ფიქრობს, რადგან სწამს: სიცრუით ყოველთვის წააგებ, პატიოსნებით — მოიგებ. ამბობს: — პარტნიორებთან ურთიერთობაში წარმატებებსაც ამ პრინციპს ვუმადლი და მიუღებლად მიმაჩნია, ადამიანთან სიახლოვე და იმავდროულად მასთან შეურიგებელი ბრძოლაც.**
>
> **საქმიანი საუბრისას ხშირად ხუმრობს და იცინის. რაც ზოგს აღიზიანებს, ზოგსაც ხიბლავს. რა არის ეს, მისი თანდაყოლილი თვისება თუ პოლიტიკოსის პროფესიული ხერხი? შეიძლება ერთიცა და მეორეც. იქნებ სწორედ ამაშია ის ჩუმი ძალა „შევარდნაძის ფენომენს" რომ უწოდებენ?**

— მომწონს, როცა ადამიანი თავის საქმეს ღიმილით აკეთებს და იცის გონებამახვილური სიტყვის ფასი. ჩვენ ხომ ყველანი ადამიანები ვართ და ერთმანეთის გონებისა და გულისკენ სავალ გზებს ვეძებთ? თუ პარტნიორთან თანხმობის მიღწევა გსურს, ღიმილიც უნდა შეგეძლოს და გონივრული ხუმრობაც, თუმცა, არის შემთხვევები, როცა არც გეხუმრება და არც გეღიმება. მაშინ საქმეს კუშტი სახე აგვარებს...

ასე მიაჩნია ედუარდ შევარდნაძეს და ალბათ ამიტომაც შესცქერის მრავლისმთქმელი ღიმილითა და სიბრალულით სავსე თვალებით სხდომებზე ზოგიერთი პარლამენტარის აშკარად საზოგადოების საამებელ არაკორექტულ საქციელს, უადგილო, უკბილო, შხამნარევ ოხუნჯობებს.

— ვიცი, იმასაც ამბობენ, სიცილი და იუმორი თითქოს დამუშავებული მაქვს, სადაც როგორ სჭირდება, ისე იყენებსო. მართალია, იუმორი და ღიმილი ზოგჯერ ისეთ სიტუაციას განმუხტავს, სხვა მხრივ რომ ვერასგზით მოხერხდებოდა, მაგრამ ისიც ხომ ცხადია, თუ ამის უნარი, ბუნებრივად არ მოგდგამს, რაც გინდა ეცადო, არ გამოგივა? ჩემი სიცილი, იუმორი, კუშტი სახე თუ მტკივნეული რეაქციები ნამდვილად ჩემია, ბუნებრივი, თანდაყოლილი. მე მუდამ ვცდილობ ვიყო ის, რაც სინამდვილეში ვარ.

— სამწუხაროდ, ზოგიერთს ამის დაჯერება არ სურს. რამდენი ასეთი „ურწმუნო თომაა" პარლამენტშიც, რომელთა უტაქტო გამოხდომები მინაზე გასმული ლითონის ღრჭიალივით ხვდება გულს. ამ დროს მეჩვენება ხოლმე, რომ სახელმწიფოს მეთაურის ნერვები გაუსაძლისს უძლებს.

— ეს ჩემთვის ნამდვილად მძიმე გამოცდაა, რომელიც უდიდეს თავშეკავებას, თავდაჯერასა და ხასიათის სიმტკიცეს მოითხოვს, რა თქმა უნდა, ერთის მხრივ, ნების გამომჟღავნება როგორც დემოკრატიის აუცილებელი პირობა — ნებისმიერი თანამდებობის პირის, მათ შორის სახელმწიფოს მეთაურის მისამართით კრიტიკა, არა თუ ბუნებრივი, აუცილებელიც არის. მესმის, რომ პარლამენტში არის გარკვეული პოლიტიკური პოზიცია და შეხედულებები, რომელიც მიმდინარე პროცესებს სხვა, უმრავლესობის ხედვისაგან განსხვავებული კუთხით განიხილავს. შესაბამისად ოფიციალური კურსის, სახელმწიფოს ხელმძღვანელის მოღვაწეობის კრიტიკის საფუძველიც და საბაბიც არსებობს. როცა დემოკრატიული გარდაქმნის კურსი გამოვაცხადე, ვიცოდი, რომ ჩვენი საპარლამენტო პლურალიზმი ფრიად სპეციფიკურ ელფერს მიიღებდა. მაგრამ აზრთა თავისუფალი გაზიარება იმიტომ არსებობს, რომ გამოიძებნოს უფრო ეფექტიანი, საზოგადოებისათვის უფრო სასარგებლო გადაწყვეტილება და არა იმისათვის, რომ ერთმანეთს ლაფი დავასხათ. დაე, კრიტიკა იყოს თუნდაც არასასიამოვნო, მწარე, მაგრამ სამართლიანი და საფუძვლიანი, არსებითი, ვიდრე ზერელე, კრიტიკა კრიტიკისათვის. ცალკეული დეპუტატები ხშირად უფრო ბრაზობენ, ღვარძლს ანთხევენ, ვიდრე აკრიტიკებენ, არ ერიდებიან ცილისმწამებლურ ბრალდებებს. თუმცა, ცხოვრება გვიჩვენებს, ვინ არის მართალი. შესაბამისად, ვინც მართალია, ხალხი მხარს მას უჭერს. ჩემი პოზიციის სიმართლეში დაჯერებულობა, პოლიტიკური გამოცდილება და თავდაჭერის უნარი, სულიერი წონასწორობის შენარჩუნების საშუალებას მაძლევს. თუმცა, ეს ყოველთვის არ ხერხდება, რადგან ყველაფერს თავისი საზღვარი აქვს. არადა, ჩვენს ქვეყანას ახლა ძნელბედობის ჟამი უდგას. გადასარჩენად ბეწვის ხიდზე გავლა გვმართებს. როცა სასწორზე საქართველოს ბედი, მისი დემოკრატიულ, ჰუმანურ სახელმწიფოდ აშენება დევს, ერთმანეთში გაუთავებელი კინკლაობა დამღუპველია. თუ მოვახერხებთ, რომ დავძლიოთ საკუთარი ამბიციები, თავს დავანებებთ ერთმანეთის დამცირებას, უსაფუძვლო ლანძღვას, დავივიწყებთ ერთმანეთის „შეჭმის" საზარელ პრაქტიკას, მაშინ გარეშე ნეგატიური ფაქტორებიც ვერაფერს დაგვაკლებს. ნორმალურ, კონსტრუქციულ დიალოგებში ის ჭეშმარიტება უნდა დაიბადოს, რომელიც ქვეყნის გადარჩენის რეალურ გზამდე მიგვიყვანს.

მთელი თავისი სისრულით სწორედ დღეს უნდა წარმოვაჩინოთ ქართული სახელმწიფოებრივი გონი, სიდინჯე, შრომისმოყვარეობა, თანადგომა, ურთიერთმიტევება, მტრისა და მოყვარის ერთმანეთისგან გარჩევის ნიჭი.

რამდენადაც დიდია ამის სურვილი და აუცილებლობა, რადგან უამისოდ არ არსებობს არცერთი ნორმალური სახელმწიფო და ნორმალური საზოგადოება, უფრო მეტად მზარავს იმ ადამიანთა უვიცობა და უცოდინარობა, ძალიან დიდი წარმოდგენა რომ აქვთ საკუთარ თავზე, ჰგონიათ, ყოვლისმცოდნენი არიან, სინამდვილეში კი არაფერი იციან, რიტორიკის ჩენჩოში გახვეული ამბიციის გარდა არაფერს წარმოადგენენ.

— ნათქვამია, ბედნიერებისათვის მცირედიც კმარა, მაგრამ საჭიროა რაღაც მთავარიო. რა არის ეს მთავარი თქვენთვის?

— შრომა. ბავშვობიდან შრომა შევიყვარე, შევეგუე, შევეჩვიე, და ჩემი ბედნიერებაც ამაშია. ყოველგვარ დარდსა და გასაჭირს, ბოლოს და ბოლოს, შრომაში ვკლავ. სიყმაწვილეში შეძენილი მიწაზე მუშაობის ჩვევები შემომრჩა...

მისი შინაგანი მონოლოგი:

> „მე არავინ მეუბნებოდა, შენ ეს უნდა გააკეთოო, თვითონ ვიცოდი, რაც უნდა მეკეთებინა. ვკრეფდი მაღალ ხეებზე აღევნებულ ჩხავერს და ვწურავდი, საფქვავით წისქვილში გავრბოდი, ფუტკარს ვუვლიდი, სიმინდს ვთოხნიდი. ვიცოდი, რა ჯაფით მოიპოვებოდა პური ჩვენი არსობისა, რამდენი ოფლის ღვრა იყო საჭირო ჭირნახულის მოსაწევად"...

სახელმწიფოს მეთაური გულწრფელად მიმხელს: ვამაყობ იმით, რომ საკუთარი ხელით რაღაც-რაღაცეების კარგად კეთება შემიძლიაო.

პაუზა

> **დიახ, შევარდნაძე საზოგადოების გაჯანსაღების ერთ-ერთ ძირითად პირობად შრომას მიიჩნევს და თვითონაც გასაოცარი ენერგიით შრომობს, როგორც წესი, დღეში 16-18 საათს. მაგრამ იგი უსაშველოდ გადატვირთულ დღეებშიც კი ინარჩუნებს კარგ ფიზიკურ ფორმას. იქნებ იმიტომ, რომ სიგარეტს არ ეწევა, სმით კი (ჟურნალისტებს განსაკუთრებით აინტერესებთ მისი განუყრელი „გამოუცნობი" სასმელი) სვამს... მწვანე, უშაქრო ჩაის.**
>
> **უყვარს კლასიკური მუსიკა, სიამოვნებით უსმენს სიმფონიურ ნაწარმოებებს, თუმცა დღევანდელი დაძაბული დღის რიტმი ამის საშუალებას იშვიათად აძლევს. თავის ადამიანურ სისუსტედ რბილი ხასიათი მიაჩნია, რომელსაც მთელი ცხოვრება ვებრძვი, — ამბობს. თავისუფალი დრო რომ მქონდეს, კითხვაში გავატარებდიო.**

განვითარებული ქვეყნების ლიდერები, სადაც მოწესრიგებული ცხოვრებაა, შვებულებაშიც მიდიან, ნადირობენ, თევზაობენ კიდეც და ბუნების სილამაზითაც ტკბებიან. ბოლოს და ბოლოს, ადამიანის ორგანიზმი გარკვეულ განმუხტვას მოითხოვს. შევარდნაძე ისეთ ქვეყანას ხელმძღვანელობს, თავს ამგვარი ფუფუნების უფლებას ვერ მისცემს. აკი ორი წელიწადია არც დაუსვენია. შვებულება კი არა, უეცარი, ექსტრემალური ვითარების გამო, აუცილებელი ვიზიტების გადადებაც კი უწევს ზოგჯერ. თავდაუზოგავი შრომით გასწორებული დღე-ღამეების მიუხედავად, შევარდნაძისთვის სასაყვედურო არ დაილია. თუნდაც ის, რატომ დღემდე ვერ მოხერხდა ქართული არმიის ჩამოყალიბება...

— იმათ, ვინც დაუყოვნებლივ მოითხოვს ქმედითი ქართული არმიის შექმნას, ავიწყდებათ, ან არ უნდათ გაიგონ რა რაოდენობის სახსრები სჭირდება თუნდაც მცირერიცხოვანი სრულფასოვანი სამხედრო ქვედანაყოფის სათანადოდ აღჭურვას და შენახვას; არ სვამენ კითხვას, თუ სად მზადდება ის იარაღი და ტექნიკა, რომელიც ჩვენ ასე გვჭირდება.

როცა რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულებაში ჩაიწერა მუხლი ქართულ საჯარისო ფორმირებათა შექმნის თაობაზე, რომლის სრული ხარჯები, თანამედროვე ტექნიკით აღჭურვა რუსეთის მხარემ უნდა იკისროს, ამ საკითხსაც გამოუჩნდნენ ოპონენტები.

ყოველ ღონეს ვხმარობთ ამ პრობლემის დასაჩქარებლად, ვიყენებთ ყველას, ვისაც დახმარება სურს და შესწევს ამის ძალა. ამერიკაში ვიზიტის დროს ვეწვიეთ პენტაგონს, სადაც საინტერესო წინადადებები განვიხილეთ. არ შეიძლება ამაგი დავუკარგოთ ჩვენს თავდაცვის სამინისტროს, რომლის ხელმძღვანელობაც, უმძიმესი მატერიალური სიღარიბის პირობებში, მაინც ახერხებს გარკვეულ კალაპოტში მოაქციოს ქართული ჯარის ჩამოყალიბების პროცესი. ყველას კარგად ესმის, რომ დამოუკიდებელი ქვეყანა ვერ იარსებებს სამხედრო დასაყრდენის — ეროვნული ჯარის შეუქმნელად, ამისათვის კი საჭიროა თავდადებული შრომა, საქმის კეთება და არა გაუთავებელი მოთხოვნებისა და ულტიმატუმების წაყენება.

— საზოგადოების გარკვეული ნაწილი გამოთქვამს შიშს, რომ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა, რომლის წევრიც საქართველო გახდა, ნელ-ნელა გარდაიქმნება საბჭოთა კავშირის მსგავს ტოტალურ იმპერიულ გაერთიანებად. ამის საფუძვლად მიიჩნევენ დაწყებულ საუბრებს სამანეთო ზონაზე, ორმაგ მოქალაქეობაზე, ერთიან ჯარსა და ერთიან ხელმძღვანელობაზე...

არის თუ არა ეს შიში საფუძვლიანი და როგორია თქვენი პროგნოზი დსთ-ს მომავალზე?

— არაერთხელ მითქვამს, რომ დსთ-ში საქართველოს გაწევრიანება კარგი ცხოვრებით არ მომხდარა. აფხაზეთის ომში მოვლენათა ტრაგიკულმა განვითარებამ, რასაც აქტიურად უწყობდნენ ხელს გარკვეული პოლიტიკური ძალები, ქვეყანა გარდაუვალი კატასტროფის წინაშე დააყენა. ჩვენი ოპონენტების კიჟინი, თითქოს ამ ნაბიჯმა საქართველოს დამოუკიდებლობა დააკარგვინა, ამერიკაში ვიზიტის დროს გაქარწყლდა, რადგან მთელმა მსოფლიომ იხილა, როგორ გვიჭერს მხარს საერთაშორისო საზოგადოებრიობა, როგორ უჭერს მხარს ჩვენს დამოუკიდებლობას და სუვერენიტეტს.

რაც შეეხება დსთ-ს განვითარების პერსპექტივებს, გაერთიანების პრინციპი საბოლოოდ უნდა იყოს იმგვარი, როგორიც არის ევროგაერთიანებისა, მაგრამ ეს უნდა მოხდეს მაშინ, როცა ამ ქვეყნებში გამოცოცხლდება და ამოქმედდება ეკონომიკური პოტენციალი, დაისადგურებს მყარი სტაბილურობა. თუ როგორ წარიმართება მოვლენები რეალურად, ამას დრო გვიჩვენებს. ჩვენ არავინ გვავალდებულებს სამანეთო სივრცეში დაბრუნებას, თუმცა ამ საკითხზე მსჯელობა, ვფიქრობ, უნდა გაგრძელდეს, რათა გამოვიმუშაოთ ოპტიმალურად მისაღები პოზიცია საფინანსო პოლიტიკაში. ნაზარბაევის წინადადება „ევრო-აზიური კავშირის" შესახებ, ჯერჯერობით მხოლოდ იდეის დონეზეა და საფუძვლიან განხილვას მოითხოვს. დსთ-ს მომავალზე კი ასე ვიტყოდი: თუ ძველისკენ დაბრუნების ტენდენცია გაჩნდება, მაშინ იგი ვეღარ იარსებებს, დაიშლება. თუ დაახლოებით იმ გზით ვივლით, რა გზითაც ევროპის ქვეყნებმა იარეს, და არა მარტო ევროპის, მაშინ სიცოცხლისუნარიანი იქნება. ჩემი გამოსვლის ლაიტმოტივი, დსთ-ს მეთაურების 15-16 აპრილის შეხვედრაზე იყო ის, რომ, თუ თანამეგობრობა გადაიქცევა საერთაშორისო ორგანიზაციად, იგი არა მარტო ფორმალურად იქნება აღიარებული, როგორც საერთაშორისო სტატუსის მქონე, არამედ თავისი პრინციპებითაც.

— როგორ გესახებათ კომუნისტური პარტიის პოლიტიკური პერსპექტივა?

— კომუნისტური იდეოლოგიის ძველი ფორმითა და შინაარსით რესტავრაცია შეუძლებელია. ამის გარანტიაა ის ფუნდამენტური ცვლილებები, რომლებიც მსოფლიოში ბოლო დროს მოხდა. თუმცა, ესა თუ ის პარტია, რომელიც არ ეწინააღმდეგება არსებულ კანონმდებლობას, მისი რადიკალურობის მიუხედავად, უნდა არსებობდეს.

— ხშირად გიკიჟინებენ: აღიარეთ, რომ აფხაზეთის საკითხში ხელისუფლება დამარცხდაო...

— როცა ვთქვი, რომ დავიჩოქე, ამით ხელისუფლების დამარცხება ვაღიარე. დავმარცხდით, რა თქმა უნდა, დავმარცხდით. რატომ? ეს სხვა საკითხია და ყოველივეს თავისი მრავალწახნაგოვანი ახსნა აქვს. რა ძალები იბრძოდნენ, რა ძალებს ვებრძოდით, რატომ მოხდა ასე, ეს სხვა ამბავია, მაგრამ დამარცხება რომ არ ვაღიარო, არაობიექტური ვიქნებოდი.

— საქმეზე გული ხომ არ აგცრუებიათ?

— თითქმის არა, მაგრამ ბუნებრივია, ყველას აქვს საკუთარი სისუსტე. სოხუმში უახლოეს მეგობრებთან ვთქვი: იქნებ ჯობდეს, იყოს ის პიროვნება, რომელიც მხოლოდ ერთ ქვეყანაზე იქნება ორიენტირებული... მე მქონდა უმძიმესი მომენტები, როცა სასწორზე იდო ჩემი სიცოცხლე. ეს იმიტომ კი არა, რომ გარეთ უთანასწორო ბრძოლა იყო და ყველა ნაბიჯზე ჭურვები ფეთქდებოდა. ეს ბრძოლა ჩემში ხდებოდა. არ მშორდებოდა აზრი: უნდა დამთავრდეს ეს ყველაფერი... მე მაშინ ვძლიე საკუთარ თავს... ძლიერი ყოფილა ჩემში ოპტიმიზმის ძალა, ალბათ, ამიტომაც დაჟინებით მჯერა ჩემი ქვეყნის ბედნიერი მომავალი, მჯერა, რადგან ჩვენს მდგომარეობაში მყოფი ქვეყანა არც პირველია და არც უკანასკნელი. მსოფლიოში უფრო დიდი რესურსების მქონე სახელმწიფოები აღმოჩენილან სრულ ქაოსში, გავიხსენოთ დღეს უკვე აყვავებული გერმანია, იაპონია, კორეა, დღევანდელი სინგაპური, ტაილანდი, რომელიც მომივლია და ვიცნობ. ჯუნგლების დონეზე იყო, დღეს ყვავის...

შევარდნაძეს უკეთესი მომავლისა სჯერა და იმედი აქვს, რომ ბედნიერი დღეები წინ არის. ამისთვისაც ყველაფერს რომ იღონებს, უდავოა, რადგან მან კარგად იცის ბედნიერების ფასი...

ამ დროს მას პარლამენტის სხდომაზე საჯაროდ უწოდებენ ქვეყნის ბედზე ხელჩაქნეულ ხელმძღვანელს.

— თუ ადამიანს, განსაკუთრებით ხელმძღვანელს, სახელმწიფოს მეთაურს სინდისის ნატამალი მაინც აქვს და იმ მდგომარეობამდეა მისული, ხელის ჩაქნევის მეტი აღარაფერი დარჩენია, უნდა თქვას და წავიდეს. მე კი ძალიან შორსა ვარ ასეთი მდგომარეობიდან. ხელის ჩაქნევის არავითარი წინაპირობა არ არსებობს. საერთოდ არ მჯერა და არ მწამს ხელჩაქნეული კაცისა. როცა ადამიანი იბადება, თავისი პირველი ამოძახილით განაცხადებს, რომ ქვეყანას შრომისა და ბრძოლისათვის მოევლინა. ამიტომაც მიმაჩნია, კაცს სიცოცხლის ბოლომდე ხელის ჩაქნევის უფლება არა აქვს.

— ხომ არ მიგაჩნიათ, რომ ზოგიერთი დღევანდელი ჩვენი პოლიტიკური მოღვაწე ჩამორჩა, ახლებურად ვეღარ აზროვნებს და მათი უადგილო და უმართებულო გამოხდომებიც ამის შედეგია?

— საქართველოს თავისუფლება და დამოუკიდებლობა ისევე, როგორც სხვა ქვეყნებს, ახალმა აზროვნებამ მოუტანა. ეს ახალი აზროვნება, ასე თუ ისე, დაკავშირებულია ადამიანთა ჯგუფთან, რომლებმაც „პერესტროიკა" წამოიწყეს, როცა დარწმუნდნენ, რომ ის სისტემა ჩიხში მოექცა.

ახალი აზროვნება მუდმივად განვითარებადი პროცესი უნდა იყოს. ზოგიერთ ჩემს ოპონენტს კი, როცა ვუსმენ (მათ შორის ბევრი ახალგაზრდაა), რატომღაც მგონია, რომ უფრო დაშტამპული არიან, ვიდრე ის ადამიანები, რომლებმაც მსოფლიო პოლიტიკაში დიდი ხანია განვლეს ახალი აზროვნების ეტაპი და ჯერ კიდევ არ დაბლაგვებ-დაჩლუნგებიათ აზროვნების მექანიზმი, ახლებურად აზროვნებენ.

მინდა ჩემს პარტნიორებსა და ოპონენტებს მოვუწოდო: იაზროვნონ ახლებურად, თანამედროვე დონეზე. მოქალაქეთა კავშირში რამდენიმე ასე მოაზროვნე ახალგაზრდა შევნიშნე, მათში ოცდამეერთე საუკუნე დავინახე. სამწუხაროდ, ჩვენს პარლამენტში ასეთს ბევრს ვერ ვხედავ.

სამწუხაროდ, ვერც პარლამენტის ზოგიერთი წევრი ხედავს შევარდნაძეში იმ მეთაურს, რომელსაც სახელმწიფოს ჩიხიდან გამოყვანა შეუძლია და ხსნას მის გადადგომასა და ახალი არჩევნების მოწყობაში ხედავს. და მაინც „ყაიმს" ამ შემთხვევაში ვერ ვიტყვით, რადგან ძველებური აზროვნების სიჯიუტე აშკარაა. ამით კი, ვშიშობ, რომ მსოფლიოს, ყოველ შემთხვევაში, იმათ, ვინც ჩვენზე მეტად აფასებს ედუარდ შევარდნაძის ფენომენს, ვათქმევინებთ, ექსპერიმენტად გამოიყენესო.

ნიშანს ვუგებთ, გამიზნულად თუ შაი-შარად ტალახს ვესვრით და გადადგომას ვუკიჟინებთ, ნდობის საკითხის დაყენებას ვაიძულებთ. კვლავ ექსპერიმენტი? მერედა, ჩვენ რას გვარგებს ეს, თორემ...

შევარდნაძეს არ უჭირს თანამდებობიდან წასვლა. იგი წავა, წავა ისე ლამაზად, როგორც ბევრი დიდი პოლიტიკოსი წასულა ასპარეზიდან, თუნდაც თვითონ, უკვე ერთხელ, ყოფილი საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრობიდან.

მოვუხმეთ სასწაულის მოსახდენად და იმის ნაცვლად, ალპინისტებივით ერთი თოკით გადაბმულებს გვევლო მწვერვალისაკენ, გავთითოკაცდით, დავიქსაქსეთ, გავბოროტდით, ხარბნი და უმადურნი გავხდით, ქვეგამხედვარობა და ღალატი ვიკადრეთ, მერე ხელები დავიბანეთ და მთელი პასუხისმგებლობა ერთს კაცს ავკიდეთ. ეს ერთი კაცი კი ჯადოქარი არ არის, სასწაული მარტომ მოახდინოს. თუ მეტს გვპირდებოდა, ალბათ, იმიტომ, რომ თავის შრომისმოყვარე ერზე დაყრდნობის იმედი ჰქონდა. ჩვენ მოვატყუვდით თუ ის, თვითონ განსაჯეთ!..

რუსუდან ლორთქიფანიძე.

ქრონიკა

ექსპერტები მოითხოვენ

თბილისი. დასავლეთის ექსპერტები კატეგორიულად მოითხოვენ საქართველოს ინვესტიციების დაცვის ისეთი მექანიზმის შექმნას, რომელიც საშუალებას მისცემს დასავლურ კაპიტალს მოახდინოს ფინანსური რესურსების დაბანდება საქართველოში.

ქურთ მოქალაქეთა საზოგადოების კონფერენცია

20 აპრილს გაიმართა საქართველოს ქურთ მოქალაქეთა საზოგადოების კონფერენცია. როგორც უკვე ვიუწყებოდით, ახალ ორგანიზაციაში გაერთიანდნენ წინათ არსებული ქურთთა ასოციაცია „რონაი“, საქართველოს ქურთთა საზოგადოება, საქართველოს ქურთ ქალთა ლიგა.

კონფერენციამ განიხილა გაერთიანების მოსამზადებელი კომისიის მუშაობა, დაამტკიცა წინანდელი გამაერთიანებელი კონფერენციის მონაწილეთა ხელმოწერილი ოქმი, ახალი ორგანიზაციის წესდება და სტრუქტურა, აირჩია საზოგადოების გამგეობა, განიხილეს იეზიდური რელიგიური ცენტრის მშენებლობის ფონდის შექმნის საკითხი.

ცნობები ქუთაისიდან

შეხვედრა მარჯანიშვილის თეატრთან

ქუთაისში დაიწყო კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის გასტროლები. მაყურებლებს უჩვენებენ ორ სპექტაკლს „ბახტრიონსა“ და „ძველ ვოდევილებს“. სპექტაკლებზე დასწრება უფასოა — გასტროლებს აფინანსებს ქუთაისის ეკონომიკური რეფორმების ხელშემწყობი ფონდი.

გასტროლები 24 აპრილამდე გასტანს.

მგზავრობა უფასოა, მიწას მივხედოთ

ქუთაისმა კიდევ ერთი კეთილი საქმე წამოიწყო. ქალაქის მერიის გადაწყვეტილებით, ამიერიდან მეზობელი რაიონების ორმოცამდე სოფლის მიმართულებით, ყოველ შაბათ-კვირას ივლის საგარეუბნო ავტობუსები, რომლებიც დღეში თითო რეისს შეასრულებენ. მგზავრობა უფასოა. ტრანსპორტის მოძრაობას აფინანსებს ქალაქის მერია.

გაქურდეს პრესის სახლი

გაქურდეს სერგი მესხის სახელობის პრესის სახლში მოთავსებული გაზეთ „ქუთაისისა“ და ადგილობრივი რადიომაუწყებლობის რედაქციები, აგრეთვე ჟურნალისტთა ფედერაციის ოფისი. მოპარულია რამდენიმე ტელევიზორი და აუდიომაგნიტოფონი. ბოროტმოქმედები მიიმალნენ, გამოძიებას აწარმოებს ქალაქ ქუთაისის პროკურატურა.

აღმოაჩინეს ბენზინის სახდელი

საქინფორმის კორესპონდენტის ცნობით, შინაგან საქმეთა სამმართველოს სპეციალური დანიშნულების ბატალიონისა და საგარეჯოს შინაგან საქმეთა განყოფილების თანამშრომლებმა ერთობლივი ოპერატიული ღონისძიების განხორციელებისას, სოფელ პატარძეულში აღმოაჩინეს ოთხი ბენზინის სახდელი ქვაბი. მფლობელი ჯერჯერობით დაუდგენელია.

ამ ფაქტთან დაკავშირებით მიმდინარეობს გამოძიება.

ქეთევან მაღალაშვილი — 100

პორტრეტის დიდოსტატი

ქართული სახვითი ხელოვნების ერთ-ერთი სახელოვანი წარმომადგენლის ქალბატონ ქეთევან მაღალაშვილის დაბადების ასი წლისთავი შესრულდა. ჩვენი კულტურული საზოგადოებრიობა მის საიუბილეო თარიღს სხვა სოციალურ-კულტურულ და ფსიქოლოგიურ ვითარებაში სათანადოდ აღნიშნავდა და ღირსეულ პატივსაც მიაგებდა შემოქმედს, რომლის დამსახურებაც ფასდაუდებელია ქართულ მხატვრობაში პორტრეტული ჟანრის განვითარებაში.

სამწუხაროა, რომ დღეს მრავალ მიზეზთა გამო ამის შესაძლებლობა არა გვაქვს. არ ვკარგავთ იმედს — მალე ერი ყველა თავის ღირსეულ შვილს გაიხსენებს და ჯეროვნად დააფასებს. ასი წლისთავი ხომ მთელი საუკუნეა, რომელიც საკმარისზე მეტია ერთი შემოქმედის მართალი ცხოვრების შესაფასებლად. საქართველოს სახალხო მხატვარმა ქეთევან მაღალაშვილმა თავისი სიცოცხლის არც თუ ხანმოკლე გზაზე, ისე იცხოვრა საზოგადოებაშიც და ხელოვნებაშიც, რომ ბიწიერი კეთილდღეობით სული არ დაუმძიმებია და არავის მიმართ და არც თავისი ბედის მიმართ ავი სიტყვა არასოდეს დასცდენია. საკუთარი ფიზიკური და სულიერი ტკივილების სიმძიმეს თვითონ ეზიდებოდა და დიდი ადამიანური ტაქტით გაარიდებდა ამ ტკივილებს სხვებს. ყოველივე ზემოთ თქმული ვიგრძენი მასთან იმ ურთიერთობით, რომელიც ერთი თვის მანძილზე გრძელდებოდა მის შემოქმედებით სახელოსნოში — ბინაში, როცა იგი ჩემს პორტრეტს ხატავდა. ბევრს ალბათ, ქალბატონი ქეთევანი უბედნიერეს ადამიანად მიაჩნდა. მას თითქოს არ დაჰკლებია ოფიციალური ხელისუფლების ყურადღება, რეგალიები, პატივი, მაგრამ მისი ცხოვრება არ ყოფილა ისეთი ფუფუნებიანი, გამჭვირვალე და მსუბუქი, ადამიანს ნებივრობის, [illegible], მოყვრობის, განცხრომის სურვილს რომ ულევიებს. მასთან ურთიერთობაში მე შევიგრძენი, რომ ქალბატონი ქეთევანი უაღრესად ნატიფი, ინტელიგენტური ბუნების გამო, ძნელად იტანდა ადამიანებში უხეშ ნიღაბს, სიცრუეს, სიყალბეს, ყოველივეს, რაც არასწორ შთაბეჭდილებას უქმნიდა ასეთი ადამიანების არსზე. მას ხშირად უთქვამს — მე არ შემიძლია დავხატო ადამიანი როგორიც მომხიბლავი და მშვენიერიც უნდა იყოს გარეგნულად, თუ იგი თავისი შინაგანი ბუნებითაც არ მხიბლავს და მიზიდავს. ქალბატონი ქეთევანის შექმნილი ნაცნობებისა თუ მეგობრების პორტრეტები მისი სიტყვების ნათელი დადასტურება გახლდათ. ქეთევან მაღალაშვილი ეროვნული კულტურის ერთ-ერთი ბრწყინვალე წარმომადგენელი იყო. იგი არა მხოლოდ მშვენიერი მხატვარ-პორტრეტისტი, დიდებული პიროვნება, საკუთარი ღირსების გრძნობით დაჯილდოებული ადამიანი გახლდათ.

ევროპული განათლება, ოჯახიშვილობა, [illegible], ღრმა სულიერება, მის განსაკუთრებულ მომხიბვლელობას ანიჭებდა და მის ბინას სულ სხვა სითბოთი და ელფერს სძენდა. იაკობ ნიკოლაძის, ელენე ახვლედიანის, მედეა ჯაფარიძის, [illegible] და სხვა გამოჩენილი ადამიანების, მისი შექმნილი ფერწერული პორტრეტები, ქართული სახვითი ხელოვნების ოქროს ფონდშია შესული და მსოფლიოს ყველა მუზეუმს დაამშვენებდა.

ქალბატონ ქეთევანის დაბადების ასი წლისთავი შესრულდა. ეს ასაკი ხელოვანისა, მხატვრისათვის სრულიად საკმარისია დროსა და სივრცეში მისი ჭეშმარიტი შემოქმედებითი არსის ობიექტური წარმოჩენისათვის. დღეს, როცა ვეცნობით მის ნამუშევრებს, ერთხელ კიდევ ვრწმუნდებით, რომ მისთვის მხატვრობა მხოლოდ პროფესია არ ყოფილა, იგი მისი შინაგანი აუცილებლობა და მოვალეობაც გახლდათ. ამიტომაც მოიხადა ასე ღირსეულად თავისი ვალი თავისი სამშობლოს წინაშე და ეზიარა უკვდავებას.

ელგუჯა ამაშუკელი.

იგრძნობს მხატვრის სული...

ამ დღეებში, ქეთევან მაღალაშვილის დაბადების 100 წლისთავთან დაკავშირებით რედაქციაში გვეწვია ცნობილი ხელოვანი, [illegible] და დაღესტნის სახალხო მხატვარი მანაბა მაგომედოვა. მან გადმოგვცა დაღესტნიდან თბილისში მისთვის გამოგზავნილი ყოველკვირეული გაზეთის „[illegible] დღის“ წლევანდელი 25 მარტის ნომერი. საინტერესოა მასში დაბეჭდილი [illegible] „ორი [illegible]“. იგი იხსენებს ქალბატონ მანაბა მაგომედოვას მოგონებებს დიდი ქართველი მხატვრის ქეთევან მაღალაშვილისა და პირველი პროფესიონალი დაღესტნელი მხატვრის ხალილ-ბეგ მუსაიასულის (მუსაევის) ურთიერთობაზე. მათ 20-იან წლებში გაუცნიათ ერთმანეთი თბილისის სახვითი ხელოვნების სკოლაში (ახლანდელი სამხატვრო აკადემია), მერე კი ამ სკოლის წარჩინებული კურსდამთავრებულნი სწავლის გასაგრძელებლად დასავლეთ ევროპაში გააგზავნეს. 1921 წელს ქეთევან მაღალაშვილი და ხალილ-ბეგ მუსაიასული მიუნხენში ჩავიდნენ და კერძო სტუდიაში მოეწყვნენ, სადაც თითქმის წელიწადი ერთად დაჰყვნენ. მათ შორის, როგორც ქალბატონ მანაბასათვის ქეთევან

მაღალაშვილს უთქვამს (როცა მის პორტრეტს ხატავდა 1966 წელს), ის წლებში არსებობდა ღრმა გრძნობები და ერთობლივი სამომავლო გეგმები, მაგრამ როგორც მათ ოცნებებს ასრულება არ ეწერა, მათი გზები გაიყარა... ქეთევანი პარიზს გაემგზავრა, ხალილ-ბეგი კი მიუნხენში დარჩა, სწორედ იმ ხანად უჩუქებია მას ქართველი ასულისათვის თავისი ორი ნამუშევარი „ბაღეშის პორტრეტი“ და „დავიწყებული სიმღერა დაღესტანზე“. 1922 წელს მიეკუთვნება გადაღებული ეს ფოტოც, რომელსაც ჩვენს პუბლიკაციასთან ერთად გთავაზობთ.

ქალბატონი მანაბა იხსენებს, როგორ ფარულ ტკივილს ატარებდა ქეთევან მაღალაშვილი ხალილ-ბეგ მუსაიასულის ტრაგიკული ბედის გამო, რომელიც მას თავის სამშობლოში [illegible], წუხდა იმაზე, რომ დასავლეთის მხატვრულ სამყაროში დაფასებულ მხატვარს მშობლიურ მხარეში საერთოდ არ იცნობდნენ, მეტიც, მას სამშობლოს მოღალატის სახელით მოიხსენიებდნენ. ქეთევან მაღალაშვილი ოცნებობდა აღდგარიყო მისი სახელი სამშობლოში, მახაჩყალაში გამართულიყო მხატვრის სურათების გამოფენა.

ქეთევან მაღალაშვილმა მანაბა მაგომედოვას გადასცა მიუნხენში გადაღებული ფოტო და ხალილ-ბეგის მიერ ნაჩუქარი ორი ტილო მხატვრის მშობლიურ კუთხეში დასაბრუნებლად... ალბათ, გუმანით თუ გრძნობდა, რომ მისი სახელი კვლავ აღდგებოდა; მანაბა მაგომედოვამ აასრულა ქართველი მხატვრის სურვილი და ეს სურათები დღეს დაღესტნის სახვითი ხელოვნების მუზეუმის კუთვნილებაა.

ხალილ-ბეგ მუსაიასული გერმანიის შემდეგ იტალიაში, მოგვიანებით — ამერიკის შეერთებულ შტატებში ცხოვრობდა, ნაყოფიერად მუშაობდა და დიდი შემოქმედებითი მემკვიდრეობაც დატოვა. იგი 1947 წელს აღესრულა ნიუ-იორკში და იქვე ჰპოვა საბოლოო განსასვენებელი. მისმა მეუღლემ მელანიმ, იტალიელმა ქალბატონმა, რომელიც ამჟამად კონექტიკუტის შტატში ცხოვრობს, მეუღლის ანდერძისამებრ დაღესტანს საჩუქრად გადასცა მისი 100 ტილო.

ალბათ, ზეციურ სამყაროში ხარობს 100 წლის ქართველი მხატვრის სული იმით, რომ სულ მალე ხალილ-ბეგ მუსაიასულის 100 წლისთავზე მახაჩყალაში გაიხსნება პირველი პროფესიონალი დაღესტნელი მხატვრის ვრცელი პერსონალური გამოფენა, რომ ამერიკიდან აღდგენილია და დიდებით მოსილი 70 წლის განშორებაში შერისხული სახელი.

გიორგი ლალიაშვილი.

სურათზე: ქეთევან მაღალაშვილი და ხალილ-ბეგ მუსაიასული. მიუნხენი, 1922 წელი.

იუბილე

ბენიკ სეირანიანი ჩვენი მეგობარია

ცნობილ სომეხ მწერალს, დრამატურგს, პუბლიცისტს, საქართველოს მწერალთა კავშირთან არსებულ სომეხ მწერალთა სექციის თავმჯდომარეს ბენიკ სეირანიანს სამართლიანად უწოდებენ ქართველი ხალხის ერთგულ მეგობარს. ხუთი წლისა ჩამოვიდა იგი თბილისში სომხეთის პატარა სოფელ კოტიდან და მას შემდეგ თავისი ცხოვრება განუყრელად დაუკავშირა ამ ქალაქს. აქ მიიღო განათლება, შექმნა პირველი ლიტერატურული ნაწარმოებები. კვლავინდებურად ცხოვრობს და შრომობს აქ. 40-ზე მეტი წიგნის ავტორია, რომელთა შორის არის ისეთი პოპულარული ნაწარმოებები, როგორიცაა „მთებში გაზაფხულია“, „ცისფერი სიმღერა“, „გზები და ბედიღბალი“, „რუსული გული“, „ჩემი პირველი სიყვარული“, „მთის კრისტალი“, „ვარსკვლავთა ხეობა“, „წყაროები“ და სხვ., იგი შევიდა სომხური ლიტერატურის ისტორიაში, როგორც მრავალმხრივი ნიჭისა და ფართო ჰორიზონტის მწერალი.

ბენიკ სეირანიანის 80 წლისთავს მიეძღვნა საზეიმო კრება — შეხვედრა მწერალთან, რომელიც 16 აპრილს გაიმართა თბილისის პეტროს ადამიანის სახელობის სახელმწიფო სომხურ დრამატულ თეატრში. დარბაზი ხალხით არის გაჭედილი. აქ მოვიდნენ სომეხი და ქართველი საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, სტუმრები საქართველოსა და სომხეთის ქალაქებიდან და რაიონებიდან. სტუმართა შორის არიან საქართველოს პარლამენტის სპიკერის მოადგილეები როსტომ ბერიძე და ვახტანგ რჩეულიშვილი. თეატრის მთავარმა რეჟისორმა მიქაელ გრიგორიანმა ილაპარაკა მწერლის ცხოვრებასა და შემოქმედებითს მოღვაწეობაზე.

იუბილარს მიესალმნენ: საქართველოს ხელმძღვანელობის სახელით — როსტომ ბერიძე, სომხეთის მთავრობის სახელით — სურსათისა და დამზადების მინისტრი, მწერალი დავით ზატოიანი, საქართველოს მწერალთა კავშირის სახელით — კავშირის თავმჯდომარე გურამ ფანჯიკიძე, მწერალი გურამ გვერდწითელი, პოეტი თეიმურაზ ჯანგულაშვილი, გაზეთ „ვრასტანის“ რედაქტორი ვან ბაიბურთი, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწენი.

გაიმართა დიდი კონცერტი, რომელიც ძირითადად შედგენილი იყო იუბილარის ნაწარმოებებისაგან.

თვითწმენდა

დანაშაულში ეჭვმიტანილ პოლიციელს და მის კეთილისმყოფელს მხოლოდ კანონთან უნდა ჰქონდეს საქმე და არა დაუზარელ ტელეფონის აპარატთან

ეს სიტყვები, რომელიც შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის უფროსმა, პოლიციის პოლკოვნიკმა ზაზა ბურჯანაძემ საუბრისას მითხრა, ხმამაღალ ნათქვამად ნუ მოგეჩვენებათ. რაღა დაგიმალოთ, პოლიციელთა შორის იმატა დანაშაულმა. მკვლელობა, ძარცვა-ყაჩაღობა, სახელმწიფო და კერძო ქონების ქურდობა, ნარკომანია, მოქალაქეთა მოტაცება ფულის გამოძალვის მიზნით... თვითწმენდა საკმაოდ ძნელი, მაგრამ აუცილებელი პროცესია. სამინისტროს თითქმის ყველა საშუალება აქვს შემთხვევითი, უღირსი თანამშრომლების ჩამოსაცილებლად. უამისოდ შინაგან საქმეთა ორგანოები ვერ დაიბრუნებენ დაკარგულ პრესტიჟს, ვერც ჩვეული რიტმით, მონდომებითა და ეფექტიანობით იმუშავებენ.

შარშან, ოქტომბერში, თბილისის ნაძალადევის შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების მეოთხე ქვეგანყოფილების თანამშრომლებმა გოგუაძემ, ჭავლეიშვილმა და შუბაშიკელმა დააკავეს ყაჩაღი, რეციდივისტი, თანაც რამდენიმე პოლიციელის მკვლელობაში ეჭვმიტანილი ბუცხრიკიძე, მას და მის ნათესავებს დიდძალი ფული, ოქროს სამკაულები, აგრეთვე ავტომანქანა გამოსძალეს და მკვლელი გაათავისუფლეს.

სამართალმა პური ჭამა. უღირსი ადამიანები შინაგან საქმეთა ორგანოებიდან დაითხოვეს და პასუხისგებაში მისცეს, რაიონული განყოფილებისა და ქვეგანყოფილების ხელმძღვანელები კი დაკავებული თანამდებობიდან გადააყენეს.

* * *

— **მოგეხსენებათ,** ბოლო ხანს რესპუბლიკაში შექმნილმა ურთულესმა საზოგადოებრივ-პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა ვითარებამ საყოველთაო ქაოსი და დამნაშავეობის არნახული ზრდა გამოიწვია, — ამბობს ბატონი ზაზა ბურჯანაძე. — თვალს ნუ დავხუჭავთ, პოლიცია სოციალურად და სამართლებრივად დაუცველია. საკადრო პოლიტიკაში უხეშ, ლამის გამოუსწორებელ შეცდომებს უშვებენ, არ მუშაობს სამსახურებრივი კონტროლის მექანიზმი... ასეთ მდგომარეობაში, ვილას უჭირდა, თუ პოლიციის ორგანოებში უღირსი ადამიანები — მორალურად მყიფე, უსაქმური, გამორჩენის მაძიებელი, შეპყრობილი თაღლითები, გამომძალველები და ნარკომანები ხვდებოდნენ. შესაბამისად, ავტომატურად, პოლიციელების დანაშაულმაც იმატა. საკმაოდ ხშირად ისინი დამნაშავეთა ორგანიზებულ ჯგუფებსაც უკავშირდებოდნენ და, რას აღარ სჩადიოდნენ.

მარტო 1993 წელს სხვადასხვა დანაშაულში 209 თანამშრომელი ამხილეს. მათ ბრალად ედებოდათ 29 მკვლელობა და მკვლელობის მცდელობა, 40 ქურდობა, 18 ძარცვა-ყაჩაღობა, 12 სხეულის დაზიანება, შვიდი მექრთამეობა-გამოძალვა, 24 დანაშაულებრივი დაუდევრობა, ხუთი ადამიანის მოტაცება ფულის გამოძალვის მიზნით, 11 — სამსახურის ბოროტად გამოყენება, ოთხი — ნარკოტიკულ ნივთიერებებთან დაკავშირებული დანაშაული და ა. შ.

ამ დროის განმავლობაში, მხოლოდ დისციპლინის დარღვევისათვის 2500-მდე თანამშრომელი დაისაჯა.

სხვა გზა არ იყო, რაღაც უნდა გველონა. სახელმწიფოს მეთაურის განკარგულებითა და შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით, განსაკუთრებული სტრუქტურული დანაყოფი, გენერალური ინსპექცია ჩამოყალიბდა. პირველივე დღეებში რამდენიმე შედეგიანი ოპერაცია განვახორციელეთ. გამოვავლინეთ გამოძალვის, სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებისა და ნარკოტიკულ ნივთიერებებთან დაკავშირებული დანაშაულის არა ერთი შემთხვევა.

* * *

შარშან, დეკემბერში, თბილისის კრწანისის შინაგან საქმეთა განყოფილების თანამშრომლები გ. ალუდაშვილი და ნ. მერაბიშვილი დააკავეს. მათ მოქალაქისაგან სოლიდური თანხის გამოძალვაში ედებოდათ ბრალი.

იმავე თვეს სისხლის სამართლის საქმე აღიძრა თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველოს ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ მებრძოლი განყოფილების ინსპექტორების ბ. პატარიძისა და ი. ღლონტის მიმართ. მათ ძლიერმოქმედი ნარკოტიკული ნივთიერებები აღმოაჩნდათ.

* * *

— **ბატონო ზაზა,** თქვენი უფლებამოსილება, ბუნებრივია, ვრცელია და მხოლოდ სამინისტროს ცენტრალურ აპარატსა და დედაქალაქზე როდი ვრცელდება.

— დებულებით, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას გენერალური ინსპექციის თავისი ქვედანაყოფი აქვს, თბილისს და ქუთაისს — თავისი, სატრანსპორტო პოლიციას — თავისი. ამიტომ ისინი, დებულებით, ორმაგ დაქვემდებარებაში არიან. ეს კარგია თუ ცუდი — დრო გვიჩვენებს, და სანამ დებულება არ დაიხვეწება, ასე უნდა ვიმუშაოთ.

— **უპირატესად, რომელი სამსახურის თანამშრომლები სჩადიან დანაშაულს?**

— კაცმა რომ თქვას, თითო კოჭლი ყოველ ფარაშია. ეს იმდენად ბუნებრივი და ლოგიკურია, ზედმეტი დაკონკრეტება თითქოს აღარც არის საჭირო, მაგრამ ვინმეს ჩვენს გულწრფელობაში ეჭვი რომ არ შეეპაროს, მაინც მოგახსენებთ: შარშან, ადმინისტრაციული პოლიციის თანამშრომლებმა 17 დანაშაული ჩაიდინეს, სამძებრო თანამშრომლებმა — 15, სატრანსპორტო პოლიციის მუშაკები 28-ჯერ წამოეგნენ ანკესზე. საკუთრების დამცველებს ასევე 28-ჯერ წაუცდათ ხელი.

დაკისრებული მოვალეობისადმი კეთილსინდისიერი მიდგომით სამორიგეო სამსახურის პოლიციელებიც არ გამოირჩეოდნენ. მათ 11-ჯერ უღალატეს ორგანოს თანამშრომლის მრწამსს...

საერთოდ, 1991-93 წლების სტატისტიკით, ყველაზე მეტ დანაშაულს საკუთრების დაცვის პოლიციელები სჩადიან (44); მათ სამორიგეო სამსახურის თანამშრომლები მოჰყვებიან (34); სამძებროსა და სასჯელთა აღსრულების სამსახურებს ერთნაირი მაჩვენებელი აქვთ (27-27); სატრანსპორტო პოლიცია ამ უკანასკნელთ სულ ცოტათი „სჯობნით“ (29)...

ერთად უნდა ვებრძოლოთ

ისიც უნდა ითქვას, რომ ამ წლებში დანაშაულთა უმეტესობას (72 პროცენტი) რიგითი პოლიციელები სჩადიოდნენ.

* * *

სავალალოდ გარდაბნის პოლიციის თანამშრომელმა ბ. არღვლიანმა, რამდენიმე თანამზრახველთან ერთად, მოქალაქეს ავტომანქანა წაართვა.

მოგვიანებით, 4 იანვარს, ბათუმის შინაგან საქმეთა საქალაქო განყოფილების საკუთრების დაცვის პოლიციელმა გ. გოგუაძემ კომერციული მაღაზიიდან ვიდეოაპარატურა და ქურთუკი მოიპარა.

საგზაო პოლიციის სპეცდანიშნულების ლეგიონის პოლიციელმა ა. გოგიაშვილმა მოქალაქეს 20 ლიტრი ბენზინი წაართვა, გამოძახებით მოსული თანამშრომელი კი ცეცხლსასროლი იარაღით დაჭრა.

* * *

— ბატონო ზაზა, არა მგონია, დანაშაულში ეჭვმიტანილ ზოგიერთ თანამშრომელს ქომაგი არ გამოუჩნდეს და...

— საქართველო ქომაგების კლასიკური ქვეყანაა, მაგრამ ბევრ მოძველებულ ადათ-წესს, ვცდილობთ, ნაკლებ ანგარიში გავუწიოთ, ან სულაც დავივიწყოთ. კაცმა რომ თქვას, ყველაფერს ბოლო აქვს. დამნაშავეს თუ მის ახლობელს, მხოლოდ კანონთან უნდა ჰქონდეს საქმე და არა დაუზარელ ტელეფონის აპარატთან.

— ნუთუ თავად არ გაგჩენიათ თანამშრომლისადმი, თქვენი კოლეგისადმი, დახმარების სურვილი?

— თანაგრძნობა სხვა არის, დახმარება — სხვა. ეს სასტიკი, უკომპრომისო ომია. ისეთ დანაშაულს სჩადიან, ისეთ სისაძაგლეს აკეთებენ, ძალიანაც რომ მოინდომო, სინდისი, ჩვენი კაცობის საზომი, დახმარების ნებას არ მოგცემს.

* * *

პოლიციის უმაღლესი სკოლის მსმენელები ლ. გრიგოლია, ზ. მუზიგულაშვილი, თ. გაბიტაშვილი და რ. ჩიჩუა უთანხმდებოდნენ სხვადასხვა ყაჩაღურ ჯგუფებს, არასრულწლოვან ბავშვებს იტაცებდნენ და სანაცვლოდ ამერიკულ დოლარებს მოითხოვდნენ.

შარშან, აპრილში, თბილისის პოლიციის სამძებრო განყოფილების ინსპექტორებმა ა. კახელიშვილმა და მ. ლიპარტელიანმა მანგლისის გზაზე, ცეცხლსასროლი იარაღის მუქარით, მოქალაქეებს 2 მილიონ 700 ათასი მანეთი წაართვეს, ავტომანქანა კი დაუცხრილეს.

სატრანსპორტო პოლიციის ხაშურ-ზესტაფონის განყოფილების გამომძიებელმა, პოლიციის უფროსმა ლეიტენანტმა მ. ხარატიშვილმა ურთიერთშეკამათების ნიადაგზე მოკლა უდანაშაულო მოქალაქე.

* * *

— ცნობილია, რომ პოლიციელთა შორის მომხდარ დანაშაულს პროკურატურა იძიებს. როგორი დამოკიდებულება გაქვთ მასთან?

— ძალიან ნორმალური, არც ერთი საქმე უკან არ დაგვბრუნებია.

— დამნაშავე და სასჯელმოხდილი პოლიციელი თუ უბრუნდება ორგანოებს?

— ეს მხოლოდ სასამართლო და პროკურატურის ორგანოების მიერ ყოფილი თანამშრომლის აღდგენა-რეაბილიტაციის შემდეგ არის შესაძლებელი; თუმცა, ასეთი შემთხვევა იშვიათია.

— ბევრი პოლიციელი, რომელიც, დავუშვათ, გამოძალვაში ან ქრთამის აღებაში ამხილეს, თავს მცირე ხელფასით იმართლებს. ვფიქრობ, მას, ამ შემთხვევაში, საკმაოდ მყარი არგუმენტი აქვს.

— ეს ძირეული პრობლემაა, მაგრამ ისიც ვთქვათ, დღეს საქართველოში ვისა აქვს პოლიციელზე მეტი ხელფასი?! ანაზღაურება, რასაკვირველია, კატასტროფულად მცირეა, მაგრამ ეს ყაჩაღობითა და ძარცვა-გლეჯით ცხოვრების უფლებას როდი გაძლევს! მართალია, კაცი რომ ტყვიას უშვერს მკერდს, ჯიბეში იმდენი ფული მაინც უნდა ედოს, ოჯახმა ერთი-ორი თვე თავი გაიტანოს. ასეა, მაგრამ ეს პოლიციელს პასუხისმგებლობიდან არ ათავისუფლებს. რაკი ოფიცრისა თუ რიგითის მუნდირი გაცვია, კეთილი ინებე და მისი ღირსებაც დაიცავი.

— ალბათ, ამიტომაც არის, რომ ბევრი თანამშრომელი უმუნდიროდ, საერთოდ, უფორმოდ ასრულებს თავის სამსახურებრივ მოვალეობას...

— უფორმო კი არა, წვერმოშვებული პოლიციელიც მინახავს. მიდიხართ ტრასაზე, გაჩერებს იარაღშემართული, წვერმოშვებული, უფორმო კაცი... ვერ გაიგებ ვინ არის — პოლიციელია, ყაჩაღია თუ უბრალო მოქალაქე?!

კაცმა გარეგნობით, ჩაცმულობით, იერსახით უნდა იცნოს პოლიციელი და არა იარაღის შემართვით ან პირადობის მოწმობის წარმოდგენით.

* * *

უმაღლესი სკოლის მსმენელმა ე. ჯობონელიძემ სასტუმრო „ხიბლში“ დამბაჩით ირანის მოქალაქე მოკლა.

გარდაბნის რაიონში დააკავეს თბილისის შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოს სახელმწიფო ობიექტებისა და დაწესებულებების დაცვის პოლიციელი ტ. ნოვრუზოვი. მას 22 გრამი ნარკოტიკული ნივთიერება „ოპიუმი“ უპოვეს.

— ბატონო ზაზა, ბოლო ხანს რა ვითარებაა. მგონი, შედარებით იკლო პოლიციელთა დანაშაულმა?

— კლების ტენდენცია უთუოდ არის, მაგრამ გასაკვირებელი კვლავ ძალზე ბევრია. სერიოზულად გვაშფოთებს მექრთამეობის, ნარკომანიისა და ნარკობიზნესის, აგრეთვე გამოძალვის შემთხვევათა საგრძნობი ზრდა.

ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ მებრძოლი სამმართველოსა და გენერალური ინსპექციის ძალებით განხორციელებულმა ერთობლივმა ოპერაციებმა დაადასტურა ეჭვი იმის შესახებ, რომ შინაგან საქმეთა ორგანოებში დღეს მრავლად არიან ნარკობიზნესთან დაკავშირებული თანამშრომლები. ისინი ხშირად ცალკე მოქმედებენ, ან დანაშაულებრივ ორგანიზებულ ჯგუფებს მფარველობენ.

ამ საშიში მოვლენის წინააღმდეგ ბრძოლის გასაძლიერებლად წლევანდელს, 19 იანვარს, მინისტრის სპეციალური ბრძანებით დღეისათვის მსგავსი დანაშაულებისათვის ორგანოდან სულ 12 თანამშრომელია დათხოვნილი.

საერთოდ, სამ თვეში პოლიციელთა მექრთამეობის ათი შემთხვევა დავაფიქსირეთ, ქურდობის — რვა, ძარცვა-ყაჩაღობის — ათი, მკვლელობის — სამი, ნარკოტიკულ ნივთიერებებთან დაკავშირებული დანაშაულისა — ოთხი...

* * *

არავინ მალავს და არც ბატონ ზაზას დაუმალავს, რომ ეს ციფრები მაინც სიმბოლურია და ზუსტად ვერ ასახავენ პოლიციელთა დანაშაულის რეალურ სურათს. ქართული პოლიციის საქმე ხომ დიდხანს, [illegible] დამფრთხალი, უთავო მხედრის ბედაურივით იყო. შეცდომების გამოსწორებას დრო სჭირდება, დრო კი ძალზე ცოტაა! პოლიციელი სახელმწიფოს სახეა, არავის ეპატიება ისედაც ტანჯული ქვეყნის მასხრად აგდება...

ზაურ მაკარაძე.

განცხადება

თანახმად საქართველოს რესპუბლიკის ვაჭრობისა და მატერიალური მომარაგების სამინისტროს 1994 წლის 18 მარტის №მზ-01/61 №26 ბრძანებისა, ა/წლის 20 მაისიდან მოხდება „საქსურსათსაბითუმოვაჭრობის“ რესპუბლიკური გაერთიანების ლიკვიდაცია.

დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა მ/წლის 20 მაისამდე უზრუნველყონ „საქსურსათსაბითუმოვაჭრობის“ რ/გაერთიანებასთან ყოველგვარი საფინანსო და ორგანიზაციული საკითხების მოგვარება.

მ/წლის 20 მაისის შემდეგ პრეტენზიები არ მიიღება.

ინგლისურ-ამერიკული კომპანია
XEROX
THE DOCUMENT COMPANY-ს
ოფიციალური წარმომადგენელი

გთავაზობთ მაღალი ტექნოლოგიის უმაღლესი ხარისხის სხვადასხვა სახისა და დანიშნულების
ასლგადამღებ აპარატებს
ფაქსებს
ლაზერულ პრინტერებს
საბეჭდ მანქანებს
მათთვის საჭირო სათადარიგო
და სახარჯ მასალებს
საკანცელარიო საქონელს
საგარანტიო და პოსტსაგარანტიო მომსახურებით
საერთაშორისო სერტიფიკატის მქონე ჩვენი ინჟინრები მოგიხსნიან დანადგარების მოხმარების დროს წარმოქმნილ შესაძლო სირთულეებს
ჩვენ მზად ვართ გადავწყვიტოთ
დოკუმენტებთან არსებული
ყველა თქვენი
პრობლემა!
tel: 98-36-31 fax: 98-96-58 tlx:212958 ESABI

[illegible] LTD
აცხადებს მსმენელთა მიღებას ინგლისური ენის შემსწავლელ კურსებზე.
გიწვევთ ყველას, ვისაც [illegible] ინგლისურ ენაში და გაქვთ სურვილი [illegible] ინგლისური ენის ამერიკული და ბრიტანული [illegible].
[illegible] შემდეგ კურსებს:
1) კომუნიკაციური ინგლისური ენის კურსი [illegible];
2) ინგლისური ენის კურსი [illegible] 1994 წლის [illegible];
3) TOEFL-ის [illegible] 1994 წლის [illegible];
4) ინგლისური ენის კურსი [illegible];
5) ინგლისური ენის კურსი [illegible];
6) ინგლისური ენის კურსი [illegible];
7) [illegible]
თქვენ საშუალება გექნებათ:
– [illegible]
– [illegible]
– [illegible]
– [illegible] "SUBLIMINAL MESSAGE"
– [illegible]
[illegible]
ქალაქი თბილისი – მაჩაბლის 2, ტელ: 99-65-03.
ქალაქი ქუთაისი – რუსთველის 2, [illegible] ქუთაისის ფილიალის შენობაში.
ყოველდღე კურსის გარდა 10-[illegible] 17 საათამდე.

გთავაზობთ
უნაღდო ანგარიშსწორებით
საწერ და საბეჭდ ქაღალდს
(ფორმატი Λ8) ადგილზე
მიწოდებით.
ტელ: 38-91-64

განცხადება

საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების ხელშემწყობი სააქციონერო საზოგადოება «ტუია»-ს გამგეობა აცხადებს, რომ საზოგადოების წევრთა საერთო კრება შედგება მიმდინარე წლის 14 მაისს, 12 საათზე, საზოგადოების ოფისში.

მისამართი:
ქ. თბილისი ჭავჭავაძის პროსპექტი № 55
(ტელ: 29-38-15).

თუ გსურთ იმკურნალოთ მსოფლიოში სახელგანთქმულ თვალის მიკროქირურგიის სამეცნიერო-ტექნიკურ კომპლექსში (ს. ფიოდოროვის ინსტიტუტი), მიმართეთ სამედიცინო ფირმა „ისიდა-92“-ს.

დიაგნოზის დადგენის შემდეგ, ფირმა უზრუნველყოფს თქვენს მოსკოვში გამგზავრებას და კლინიკასთან არსებულ კომფორტულ სასტუმროში დაბინავებას. ფირმის მომსახურებაში შედის აგრეთვე თბილისში დაბრუნება და შემდგომი სამედიცინო მეთვალყურეობა.

მისამართი: ქარვასლის შენობა, ხოსნის ქ. № 8; ტელ.: 99-85-41 — 11-დან 16 სთ-მდე (გარდა ორშაბათისა), 16 საათის შემდეგ დაგვირეკეთ — 23-20-29.

საქართველოს რესპუბლიკის კავშირგაბმულობის სამინისტრო სათანამშრომლოდ იწვევს მხატვრებს, დიზაინერებს, არქიტექტორებს საქართველოს საფოსტო მარკების პროექტებზე სამუშაოდ.

მსურველებს შეუძლიათ მიმართონ საქართველოს რესპუბლიკის კავშირგაბმულობის სამინისტროს.

მისამართი: თბილისი, 9 აპრილის ქ., № 2, ტელეფონები 99-56-80; 6-77-57.

მთავარი რედაქტორი [illegible]